ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 12 მარტი, 2019 №59 (8013) ფასი: 60 თეთრი

## ზაალ უდუმაშვილი: „ივანიშვილმა 90-იან წლებში დაგვაბრუნა, გახარია უნდა გადადგეს!“


გვ.3

„ნახევრად კრიმინალური ხელისუფლება მივიღეთ, რომელიც ქვეყანას კრიმინალური მეთოდებით მართავს“

12 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

საღმრთო ისტორია

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




# თეა წულუკიანი გადადგომით იმუქრება


გვ.4

რა კავშირი აქვს მის წასვლას ღარიბაშვილის მოსვლასთან


გვ.2

## „გიორგი კვირიკაშვილმა პირადად ხაზარაძეს 25 მილიონი ჩამოაწერა“

დავით ჭიჭინაძე: „უსამართლობა საკუთარ თავზე თიბისიმაც გამოსცადოს“



## „ოცნება“ ზუგდიდის მერობის კანდიდატზე ვერ თანხმდება


გვ.5

რა მოლაპარაკებები გაიმართა მეუფე გერასიმესთან

## სად და როგორ ასაქმებენ მაღალჩინოსნები ცოლებს


გვ.2

თამთა შამათავა: „ამ ადამიანების შესანახად ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ვიხდით 200.000 ლარზე მეტს“



გვ.4

## „არა მგონია, რომ ღარიბაშვილის გამოცდილება დადებით შედეგს მოგვცემს“

პეტრე მამრაძე: „ოცნების“ რეიტინგი არ გაზრდილა, ის შეიძლება მხოლოდ ეცემოდეს“


გვ.5

## „კალაძის გეგმაა, ტაქსის მძღოლები მონებად აქციოს“

## ჯონდი ბაღათურია: „ხალხი თუ დაგვეკარგა, წყალს წაუღია ყველა პარტია!“


გვ.3

ეკონომიკა გვ.6

„სახელმწიფოს არ ვთხოვთ იმ რისკებში შემოსვლას, რომლის კაპიტალში კონსორციუმი მონაწილეობს“



რომან კაკულია: „თიბისი ბანკი ვალდებული არ არის თავი იმართლოს“



როგორ შეიძლება შეიზღუდოს ბანკების სადაზღვევო პროდუქტები?




ISSN 1987-9385
9 771987 938006

6 რა თქვა სალომე ზურაბიშვილმა ბაქოში

5 თინათინ ჭავჭანიძე: „შიშის გამო ცხოველზე თავდასხმა ყველაზე არასწორი ფორმაა“

7 კლოუნი პრინცი თუ ნამდვილი მემკვიდრე

6 ვაჟა-ფშაველაზე გიორგი მღებრიშვილი დაჭრეს

# „გიორგი კვირიკაშვილმა პირადად ხაზარაძეს 25 მილიონი ჩამოაწერა“

## დავით ჭიჭინაძე: „უსამართლობა საკუთარ თავზე თიბისიმაც გამოსცადოს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დეპუტატი **დავით ჭიჭინაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო დავით, მამუკა ხაზარაძის საქმესთან დაკავშირებით „ევროპული საქართველოს“ ინიციატივის წინააღმდეგ გამოდიხართ, რომ პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნას. რატომ?***

– იმიტომ, რომ საგამოძიებო კომისიის შექმნა პარლამენტში არაფრის მომტანი არ იქნება. ჩვენ ერთხელ უკვე ვნახეთ, „ევროპულმა საქართველომ“ როგორ დაიწერა პოლიტიკური ქულები, როდესაც სარალიძის საქმესთან დაკავშირებით შეიქმნა საგამოძიებო კომისია, მაგრამ შედეგად რა მივიღეთ?! ეს იყო მხოლოდ პიარაქცია და მეტი არაფერი.

***– ისინი არ დაგეთანხმებიან ამაში.***

– ნუ დამეთანხმებიან, მე ვამბობ იმას, რაც იყო. რა შედეგი დადო ამ საგამოძიებო კომისიამ, დავინახეთ, როგორ კარგად შეხმატკბილებულად ისხდნენ ხელისუფლებასთან ერთად იმ კომისიაში.

საერთოდ თუ რამე საქმე უნდა გაფუჭდეს, ასეთი საგამოძიებო კომისია უნდა შეიქმნას.

***– საერთოდ არ ეთანხმებით ასეთი კომისიის შექმნას თუ „ევროპული საქართველოს“ ინიციატივა რადგან არის, იმიტომ არ ეთანხმებით?***

– არ არის არანაირი საგამოძიებო კომისია საჭირო. თუ რამის გამოძიება უნდათ, არსებობს კანონი და არც ერთი ბანკი ამ კანონს არ ასრულებს, ეროვნული ბანკიდან დაწყებული, კომერციული ბანკებით დასრულებული. საგამოძიებო კომისია კარგი იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ ყველა ბანკის საქმიანობას შევისწავლით და არა მხოლოდ თიბისი ბანკის საქმეს, რომელიც ახლა ვიღაცისთვის პოლიტიკურად მომგებიანი თემა გახდა.

თურმე, როგორ გაბედეს და როგორ ხდება ეს ამბავი?! გაიხსენონ ერთი თიბისის ისტორია და მისი ხალხთან დამოკიდებულება. ამაზე რატომ არავინ არ საუბრობს?!



***– თქვენ ამბობთ, რომ სამართლიანია ეს ყველაფერი?***

– ცოტა უსამართლობა საკუთარ თავზე თიბისიმაც გამოსცადოს. მე მომწონს, როდესაც ახლა თავად აღმოჩნდა უსამართლობის წინაშე და ნახავს, რას ნიშნავს, როდესაც უსამართლოდ გექცევიან.

***– თქვენ ამ საქმეში პოლიტიკას გამორიცხავთ?***

– არა, რა თქმა უნდა. პოლიტიკური ნაწილი არის ამ საქმეში, მაგრამ ანაკლიის პორტის აშენება ბანკისთვის არაპროფილური საქმიანობაა, ამიტომ ბანკების საქმიანობას კანონი არეგულირებს, მაგრამ არც მთავრობა და არც ბანკი ამას არაფრად დაგიდევთ. ორივე არღვევს კანონს, მაგრამ ამაზე ხმას არავინ იღებს, ვითომც არაფერი. თიბისი არის ბანკი და ის ცდილობს, დაეუფლოს პორტს. პორტის მშენებლობა კი არ არის საბანკო საქმიანობა.

2008 წელს მამუკა ხაზარაძემ ეს ფული მიშა სააკაშვილს გადაუხადა და ამის აღიარება არ უნდა. გიორგი კვირიკაშვილმა 25 მილიონი ჩამოაწერა პირადად ხაზარაძეს, მე ვკითხე, რატომ ვაკეთებთ ამას-თქო, მიპასუხა, გვაქვს პრაქტიკა, საინვესტიციო ვალდებულებების არშესრულების შემთხვევაში ჩამოვაწეროთო.

ამაზე რატომ არავინ საუბრობს, როდესაც მილიონობით შეღავათს უკეთებდნენ თიბისის?! ეს ყველაფერი გამოსაძიებელია და თუ გამოძიება უნდათ, კომპლექსურად გამოვიძიოთ მაშინ.

***– თქვენი რიტორიკა ხელისუფლების პოზიციებთან თანხვედრაშია, ამას როგორ ახსნით?***

– მადლობა ღმერთს, თუ რამეში დაემთხვა ჩემს პოზიციას ხელისუფლების პოზიცია. მე ეს პოზიცია მქონდა არჩევნების წინაც, არჩევნების მერეც, 2008 წელსაც და დღესაც. კარგია თუ დღეს მაინც ამაზე ვიღაცა ალაპარაკდა.

წინა პრემიერ-მინისტრი და მთელი ეკონომიკური გუნდი მთლიანად საბანკო სექტორის დამცველები იყვნენ. ის კოლოსალური მოგება, რაც ბანკებმა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ნახეს, მიხეილ სააკაშვილის დროს არც კი დასიზმრებიათ.

***– ხაზარაძე ამბობს, ანაკლიიდან ისე მარტივად არ წავალ, როგორც ბანკიდან წავედიო. როგორ ფიქრობთ, მოუწევს წასვლა?***

– ხაზარაძეს არჩევანის გაკეთება მოუწევს. ბანკირებს კი არა, მათთან ასოცირებულ პირებსაც კი უნდა აკრძალვოდათ საბანკო საქმიანობის გარდა სხვა ბიზნესით დაკავება. ეს შეთანხმება არსებობდა მაშინდელ ეკონომიკის მინისტრ ქუმსიშვილთან, თუ ჩემი არ გჯერათ, დაურეკეთ და ჰკითხეთ. რადგან ის ეკონომიკური გუნდი აღარ არის ხელისუფლებაში, არ უნდა მოვიკითხოთ ეს შეთანხმება თუ რა ხდება?!

მამუკა ხაზარაძე ერთ-ერთს უნდა დაემშვიდობოს – ან ბანკს, ან პორტს. ეს მისი არჩევანია. ის განცხადება, რომ ანაკლიის პროექტში სახელმწიფოს ერთი თეთრი არ გაუღია, არის ტყუილი და მეტი არაფერი. 2017 წლის ბიუჯეტი ამოიღეთ და ნახავთ.

***– მაია ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფოს ანაკლიის პროექტში 60 მილიონი აქვს ინვესტირებულიო.***

– დიახ. სახელმწიფო ამ პროექტში თანამონაწილეა.

***– ბატონო დავით, თქვენ არც ერთ პარტიაში, არც ფრაქციაში არ შეხვედით, რადგან განაცხადეთ, რომ ახალი მოძრაობა უნდა შექმნათ. რთული არ იქნება, ხელისუფლება თუ არ დაგეხმარებათ?***

– მე მთელი ცხოვრება მარტო ბრძოლას ვარ მიჩვეული. ეს ჩემთვის უცხო არ არის. მთელი ცხოვრება ოპოზიციაში ვარ. პირველად მოვხვდი ხელისუფლებაში და იქაც დიდხანს ვერ გავჩერდი. სულ წელიწადნახევარი ვიყავი „ქართულ ოცნებაში“.

ზოგადად უსამართლობას ვერ ვეგუები. მე ხალხის თანადგომის იმედი მაქვს. ეს ხელისუფლება უკვე ისეთი დამთავრებულია, რომ მისი თანადგომა თუ დაგაზიანებს ადამიანს, თორემ რა უნდა მომიტანოს ამ ხელისუფლების თანადგომამ?! როგორ წარმოგიდგენიათ, კოლექტიური კობახიძეებისა და ზარდიაშვილების თანადგომამ რა უნდა მოუტანოს ადამიანს ან პარტიას?!

***– თუ ხაზარაძე გადაწყვეტს და პოლიტიკაში წავა, მესამე ძალის ფორმირებას შეძლებს?***

– არ მგონია, ამ ქვეყანას ბანკირებმა რამე სიკეთეს მოუტანონ. პოლიტიკაში ადამიანი იდეალებისთვის უნდა მიდიოდეს და არა – თავისი კაპიტალის დასაცავად. მამუკა ხაზარაძე თუ გადაწყვეტს პოლიტიკაში წასვლას, მაშინ ეს იქნება მისი კაპიტალის დასაცავად გადადგმული ნაბიჯი და მეტი არაფერი.

ჩვენი ხალხი დაბრძენდა და ფულის გულისთვის მხარს აღარავის დაუჭერს.

# სად და როგორ ასაქმებენ მაღალჩინოსნები ცოლებს

## თამთა შამათავა: „ამ ადამიანების შესანახად ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ვიხდით 200.000 ლარზე მეტს“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში საკურა ვერა, მაგრამ ნეპოტიზმი კი სერიოზულად ყვავის. ეს სენი ქართველებს ყოველთვის გვჭირდა, მაგრამ ბოლო წლების მანძილზე ნეპოტიზმი განსაკუთრებული სიმძაფრით აყვავდა.

ადრე მინისტრები და მინისტრის მოადგილეები ცოლის დასაქმებას როგორ იკადრებდნენ. ქვეყნის ყბაში თავს არ ჩაიგდებდნენ – მინისტრი ან მოადგილე ცოლს ამუშავებსო.

ახლა დრო შეიცვალა და ეტყობა სავალდებულო გახდა, რომ მაღალჩინოსნებმა თავიანთი თანამეცხედრეები სახელმწიფო სტრუქტურებში დაასაქმონ.

მაღალჩინოსანთა მეუღლეების დასაქმებასთან დაკავშირებით საინტერესო კვლევა ჩაატარა „ახალმა საქართველომ“.

„ახალი საქართველოს“ წევრი თამთა შამათავა აცხადებს, რომ მარტო ეს კვლევაც საკმარისია იმის სათქმელად, რომ სისტემურ პრობლემასთან გვაქვს საქმე.

შამათავას განმარტებით, კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ნეპოტიზმის შემთხვევები მთელი საქართველოს მასშტაბით. კერძოდ, ქალაქების მერების მეუღლეები, მინისტრების და მინისტრის მოადგილეების ცოლები.

– აღმოჩნდა, რომ მინისტრის მოადგილეების ცოლები საჯარო სამსახურებში მას შემდეგ დასაქმდნენ, რაც მათი ქმრები მაღალ თანამდებობებზე დაინიშნნენ, – აღნიშნავს „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი.

„ახალი საქართველოს“ კვლევის შედეგად კი ძალიან საინტერესო და ამავე დროს საგანგაშო სურათი მივიღეთ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, კახაბერ საბანაძის მეუღლე – ანა ვახტანგაშვილი – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მთავარ სპეციალისტად მუშაობს.

მეუღლე უმუშევარი არც შს მინისტრის მეორე მოადგილეს დაუტოვებია. „ახალი საქართველოს“ ინფორმაციით, ლევან კაკავას ცოლი – ნანა აბშილავა – მთავარ პროკურატურაში მრჩეველია.

მეუღლეების დასაქმების თვალსაზრისით მოწოდების სიმაღლეზეა თავდაცვის სამინისტროც.

– თავდაცვის მინისტრის, ლევან იზორიას ცოლი – ლანა მანჯგალაძე – საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის უსაფრთხოების სამსახურის უფროსია. კორპორაციის აქციათა 100%-ს სს „საპარტნიორო ფონდი“ ფლობს, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფო საკუთრებაშია. კომპანიის მართვის უფლება მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, რომელიც 2018 წლიდან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შეუერთდა, – აღნიშნავს თამთა შამათავა.



მისივე ინფორმაციით, თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ნუკრი გელაშვილის ცოლი – მარიამ მანველიშვილი – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორად მუშაობს.

თავდაცვის მინისტრის მოადგილის, გიორგი ბუთხუზის ცოლი – მაკა მაისურაძე – ჯანდაცვის სამინისტროს, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს სამმართველოს უფროსი გახლავთ.

დასაქმებულია თავდაცვის მინისტრის კიდევ ერთი მოადგილის, ზაალ კაპანაძის, მეუღლეც. კაპანაძის ცოლი მარინა სუქნიძე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სოცსამსახურის უფროსია.

„ახალი საქართველოს“ განცხადებით, სახელმწიფო სტრუქტურაშია დასაქმებული საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე ხვთისიაშვილის მეუღლეც. ღვთისიაშვილის ცოლი – ნინო თათანაშვილი – შსს-ს მომსახურების სააგენტოში მთავარი ინსპექტორია.

უყურადღებობას ვერც ფინანსთა მინისტრის მოადგილეებს დავაბრალებთ. მათი მეუღლეებიც კარგად არიან დასაქმებული.

კერძოდ, გიორგი კაკაურიძის ცოლი – ადა ეკიზაშვილი – ცესკოშია დასაქმებული.

ფინანსთა მინისტრის კიდევ ერთმა მოადგილემ, ნიკოლოზ გაგუამ, ცოლი თბილისის მერიაში მთავარ სპეციალისტად დაასაქმა.

ლტოლვილთა სამინისტროში საქმიანობს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილის ცოლი, მარეხი მთვარელიძე.

სახელმწიფო სტრუქტურაში საქმიანობს განათლების მინისტრის მოადგილის,

ლევან ხარატიშვილის მეუღლეც. ხარატიშვილის ცოლი – ირინე ბაღდადიშვილი – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში მუშაობს.

„ახალი საქართველოს“ წევრის თქმით, ამ ადამიანების შენახვა ბიუჯეტს საკმაოდ სოლიდური თანხა უჯდება.

უწყებებმა, სადაც მაღალჩინოსნების თანამეცხედრეები არიან დასაქმებული, უნდა განმარტონ, თუ როგორ მოხდა ამ ხალხის დასაქმება.

– ამ ადამიანების შესანახად ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ვიხდით 200.000 ლარზე მეტს.

მივმართავთ თითოეულ უწყებას, სადაც ეს პირები არიან დასაქმებულნი, კატეგორიულად მოვითხოვთ განგვიმარტონ, რის საფუძველზე და რა კრიტერიუმებით მოხდა მათი სამსახურებში აყვანა და გაიარეს თუ არა კონკურსი. ასევე, მოვითხოვთ, გასაჯაროვდეს ტესტირების და გასაუბრების შედეგები“ – აცხადებს „ახალი საქართველოს“ წევრი თამთა შამათავა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ჯონდი ბაღათურია: „ხალხი თუ დაგვეკარგა, წყალს წაუღია ყველა პარტია!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული დასის“ ლიდერი **ჯონდი ბაღათურია** პასუხობს.

***– ბატონო ჯონდი, მიდის საუბარი ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის დატერორებაზე და მაგალითად მამუკა ხაზარაძის და თიბისი ბანკის საქმე მოჰყავთ. რას იტყვით თქვენ?***

– ის, რომ ქართული ბიზნესი კონტროლდება და მას რამდენიმე აუცილებელი პირობა აქვს შესასრულებელი ხელისუფლების მიმართ, თავისთავად ფაქტია. ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი ხელისუფლების ვალდებულებებში არის ბიზნესის დამოკიდებულება პოლიტიკის მიმართ.

***– რას გულისხმობთ?***

– მათ აქვთ ორი აუცილებელი და პრინციპში საკმარისი პირობა, რომელიც უნდა შეუსრულონ ხელისუფლებას. ერთი ეს არის ის, რომ დააფინანსონ საარჩევნო კამპანიის დროს ხელისუფლება და აუცილებლად არ უნდა დააფინანსონ ოპოზიცია. თუ რომელიმე შემთხვევაში ეს კომპონენტი დაირღვევა, დგება ხელისუფლების დარტყმის ქვეშ. ამ დარტყმისთვის კი ხელისუფლებას აქვს ძალიან ბევრი ინსტრუმენტი.

ეს არის იმის მაჩვენებელი, რომ ჩვენთან არ არის დემოკრატია, სწორად ამიტომ ვერ ვითარდება ქვეყანა, რადგან ხელისუფლება აკონტროლებს ყველა რესურსს, რითაც შეიძლება პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური ძალა იყოს ეფექტური და ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების უკანონო მოქმედებას.

რა სჭირდება პირველ რიგში პოლიტიკურ პარტიას? ეს არის წვდომა მედია საშუალებებთან და ეს არის წვდომა ფინანსურ რესურსზე. აი, ამის სრული ტოტალური კონტროლი აქვს დაწესებული ხელისუფლებას.

***– სულ მიდის საუბარი იმაზე, რომ ოპოზიცია პასიურია, რომ მოთხოვნაა მესამე ძალაზე და არ ჩანს. ის ვერც გამოჩნდება?***

– დიახ, გეთანხმებით, მესამე ძალა ვერ გამოჩნდა. ის რომ შესამჩნევი გახდეს საზოგადოებისთვის, საჭიროა, საზოგადოებამ გაიგოს ამის შესახებ, მედიამ გააშუქოს აქტიურად და ასევე ამ მესამე ძალას სჭირდება ფულადი რესურსი. უცხოური ფულით დაფინანსება ითვლება უკანონოდ, ეს სწორია და არ შეიძლება, პოლიტიკური პარტია ქვეყნის გარედან ფინანსდებოდეს, ხელისუფლება კი არ იძლევა კანონიერი გზით ფინანსური რესურსების პოლიტიკაში მობილიზების საშუალებას.

***– თვითონ ხაზარაძის საქმეზე რას იტყვით, სად გადაიკვეთა ხელისუფლების და მისი გზები?***

– ყველაზე მეტად რაც მომწონს ხაზარაძესთან დაკავშირებულ საკითხებში, არის ის, რომ ზედმეტად აქტიურობს ნაციონალური მოძრაობა და ბოკერია-უგულავას ფრთა.. მე დარწმუნებით ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ აქ უფრო დიდი დოზით არის პოლიტიკური კომპონენტი თიბისი ბანკის ქმედებაში, ორივე მხარის მხრიდან, არა მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან, მეორე მხრიდან უფრო მეტი დოზით გამოჩნდა პოლიტიკური კომპონენტი, რაც ნამდვილად არ არის სასარგებლო ხაზარაძის საქმისთვის.

***– რას გულისხმობთ?***

– ხაზარაძე საზოგადოებრივ მხარდაჭერას ვერ მიიღებს. საზოგადოებას სძულს ეს ორი პოლიტიკური ძალა, ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო. მიუხედავად იმისა, რომ ვერც ივანიშვილით არის ქართული საზოგადოება აღფრთოვანებული, ხაზარაძე მაინც ვერ მიიღებს საზოგადოებისგან მხარდაჭერას, თუკი დადასტურდა, რომ მის უკან დგანან ეს პოლიტიკური ძალები.



აქ კიდევ მეორე ვარიანტია, შესაძლოა სულაც არ ახარებდეს ხაზარაძეს მათი ასეთი აქტიურობა, მაგრამ...

***– ეჭვი გაჩნდა, სპეციალურად ხომ არ მიუქსიეს ხაზარაძეს ეს პარტიები, რომ საზოგადოების მხარდაჭერა ვერ მოეპოვებინა?***

– ძალიან ჭკვიანური ვერსიაა და ეს არ არის გამორიცხული. ბოკერია-უგულავაზე ხომ ჩვენ ყველას ერთად გვაქვს დადასტურებული ეჭვი, რომ ივანიშვილისგან ფინანსდებიან. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ მისგან სპეციალურად იყოს მიგზავნილი. შესაძლოა თავის ინიციატივით აქტიურობენ იმ მიზნით, რომ ხაზარაძეს ფული დასცინცლონ, ეს სავსებით რეალისტური ვერსიაა.

***– ხაზარაძე არ გამორიცხავს, რომ დააკავონ. რამდენად არის ხელისუფლება ამაზე წამსვლელი?***

– მოდით, ნურაფერს გამოვრიცხავთ, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ხელისუფლებას ახლა ეს ფხა ჰქონდეს. ეს ხელისუფლება უკვე საკმაოდ სუსტი ხელისუფლებაა, ამას განაპირობებს უპირველესად მისი არაპოპულარობა საზოგადოებაში.

საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ხავსს ეჭიდებოდა და კიდევ რაღაც იმედები ჰქონდა და მეორე ტურზე მივიდა და მაინც ამათ მისცა ხმა, ვაიმე მიშა არ დაბრუნდეს შიშით, ახლა ეს ნაწილიც მიხვდა, რომ ყველაფერი ტყუილი იყო და ამ ნაწილშიც დაკარგა ხელისუფლებამ ნდობა.

არის მეორე მიზეზიც – ხელისუფლება არ არის დღეს ერთიანი, შიგნით რამდენიმე პოლიტიკური ჯგუფია და მათ განსხვავებული დღის წესრიგი აქვთ. მათ შორის ძალიან ხშირია არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ფინანსურ ინტერესთა კონფლიქტიც.

„ქართული ოცნება“ გატენილია საშოვარზე გამოსული ადამიანებით, რომლებიც საქართველოს უყურებენ, როგორც მსუყე ტორტის ნაჭერს და ცდილობენ, რაც შეიძლება დიდი ლუკმა მიითვისონ.

***– 2020-ისთვის ემზადება ივანიშვილი და ამ სიტუაციაში რა შანსები აქვს, ან რისი იმედი აქვს, რომ დარჩება მესამე ვადით?***

– ჩვენ უნდა ვისაუბროთ იმაზე, თუ რა შანსები აქვს ხალხს და სახელმწიფოს. საერთოდ რა შანსები გვაქვს გადარჩენის?! ჩვენ ამ თეატრალიზებულ წარმოდგენებში თუ დაგვეკარგა მთავარი, ხალხი და სახელმწიფო, მაშინ წყალს წაუღია ყველა პარტია!

# ზაალ უდუმაშვილი: „ივანიშვილმა 90-იან წლებში დაგვაბრუნა, გახარია უნდა გადადგეს!“

## „ნახევრად კრიმინალური ხელისუფლება მივიღეთ, რომელიც ქვეყანას კრიმინალური მეთოდებით მართავს“

იაგო ნაცვლიშვილი

რამდენიმე დღის წინ მთელი ქვეყანა შეძრა ერთ-ერთი ბანკის დაყაჩაღების ისტორიამ. ყაჩაღებმა ჯერ ავტომანქანა გაიტაცეს მძღოლიანად და მის თანამგზავრიანად, ხოლო მომდევნო დღეს ბანკი დააყაჩაღეს. ძარცვის ოპერაციის დროს გამოიყენეს მძევლები. გატაცებული მანქანის მძღოლი – ახალგაზრდა ქალი – ავტომობილიდან შუა გზაზე გადმოაგდეს და მიიმალნენ.



ეს არ არის კრიმინოგენური ვითარების დამძიმების ერთადერთი შემთხვევა. ყოველდღე გვესმის მკვლელობის, ყაჩაღობისა თუ ქურდობის ახალ-ახალი შემთხვევების შესახებ. რამ გამოიწვია კრიმინოგენური ვითარების დამძიმება და ვინ არის პასუხისმგებელი? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ზაალ უდუმაშვილი** საუბრობს.

***– შემზარავი ისტორია მოვისმინეთ რამდენიმე დღის წინ ბანკის დაყაჩაღების დროს. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც კრიმინოგენური ვითარების მკვეთრი გაუარესების შესახებ გვესმის ინფორმაციები. რას უკავშირებთ ამ ყოველივეს და ვის პასუხისმგებლობას ხედავთ?***

– ბუნებრივია, თუ ჩვენ ვინმეს პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, ეს, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. როდესაც ვითარებას ვეღარ აკონტროლებ და მთლიანად გაქცეული გაქვს სადავეები, როდესაც კრიმინალი თარეშობს, ეს პირდაპირ ხელისუფლების პასუხისმგებლობაა.

რაც შეეხება მიზეზებს, ეს ძალიან მარტივია. ხელისუფლებამ როდესაც გადაწყვიტა, რომ არჩევნები კრიმინალთან ერთად უნდა ჩაეტარებინა, ბუნებრივია, კრიმინალი იღებს რაღაც გარანტიებს. ქვეყანაში არის დაუსჯელობის სინდრომი, ამიტომაც მიშვებულია კრიმინალი და იმას აკეთებენ, რაც უნდათ. ივანიშვილმა მართლა 90-იან წლებში დაგვაბრუნა. ყაჩაღებს მძევლები აეყვანათ და ისე გაეძარცვათ ბანკი, ბოლოს როდის იყო, არც კი მახსოვს. ამ მხრივ ყოველგვარ ზღვარს გავცდით. ეს იმიტომ არის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები პრაქტიკულად ჩამოშლილია და თავის ფუნქციას არავინ ასრულებს.

გახარია, იმის ნაცვლად, რომ კრიმინალს ებრძოდეს, დაკავებულია არჩევნებით. მთელი მისი ფუნქციაა, რომ არჩევნები მოიგოს ქვეყანაში და შემდგომ ატერორონ ბიზნესი და ა. შ. კრიმინალთან ბრძოლა ალბათ ბოლოს უწერია შინაგან საქმეთა მინისტრს პრიორიტეტებში. ალბათ იმიტომ მივიღეთ ის სურათი, რაც ქვეყანაში არსებობს.

რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ ტელეარხზე ვუყურებდი სიუჟეტს, სადაც ნაჩვენები იყო, რომ ქვეყნის მხოლოდ ორ რეგიონში 1 კვირის განმავლობაში ყაჩაღობის 40 ფაქტი მოხდა. ამაზე მეტი რა უნდა იყოს?! ქვეყანაში პრაქტიკულად დომინირებს კრიმინალი. ეს შეფასება შეიძლება გაკეთდეს.

***– ახსენეთ არჩევნები გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას. ფიქრობთ, რომ ხელისუფლებასა და კრიმინალებს შორის გარიგება მოხდა?***

– კი არ ვფიქრობ, ეს ასე იყო. პირდაპირ ვუყურებდით, რა ხდებოდა საარჩევნო უბნებთან. პირდაპირ იყო გააქტიურებული ქუჩა. რა მეთოდებით მიჰყავდათ ხალხი არჩევნებზე... პირდაპირ ქუჩას ჰქონდა დავალებული, რომ არჩევნებზე ხალხის რაც შეიძლება მეტი მობილიზაცია უნდა მომხდარიყო.

ის ხალხი, ვინც არჩევნებზე საერთოდ არ ყოფილა, გამოიყვანეს ძალით და ცემატყეპით მიჰყავდათ საარჩევნო უბნებზე, რომ ხმა მიეცათ.

ქუჩა ამას ლამაზი თვალებისთვის ხომ არ გააკეთებდა?! რაღაც გარანტიები უნდა მიეღოთ მათ ხელისუფლებისგან, შესაბამისად, რაღაც გარიგება არსებობდა ხელისუფლებასა და ქუჩას შორის. ამის მეშვეობით გაიმარჯვა ბიძინა ივანიშვილმა ამ არჩევნებში. როდესაც კრიმინალი გარანტიებს იღებს, შემდეგ მის შესრულებას ითხოვს. აქედან გამომდინარე ჩემთვის სიურპრიზი არ ყოფილა, რომ არჩევნების შემდეგ განსაკუთრებულად გაუარესდა ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება.

***– არჩევნებამდეც საკმაოდ მძიმე ფონი იყო. უკავშირდება თუ არა ეს საყოველთაო ამნისტიას, როდესაც ბევრი პატიმარი გაათავისუფლეს ციხიდან?***

– ბუნებრივია. ის, რაც ჩაიდინეს 2012 წელს, როდესაც არა მხოლოდ კრიმინალები გამოუშვეს, არამედ ჯაშუშები და უმძიმესი დანაშაულისთვის გასამართლებული პირები. როდესაც პოლიტიკური სტატუსით გაათავისუფლეს პირები, ეს კრიმინალისთვის იყო მწვანე შუქის ანთება. გვახსოვს ბიძინა ივანიშვილის განმარტება, კრიმინალი კი გაიზარდა ქვეყანაში, მაგრამ ჩვენ გაგებით უნდა მოვეკიდოთო.

7 წელია, საქართველოს მოსახლეობა ცდილობს, გაგებით მოეკიდოს. მათ სახლში უვარდებიან, აყაჩაღებენ, ართმევენ. ხალხს ქუჩაში ბავშვების გაშვება უკვე ეშინია. კაცმა არ იცის, რა ელოდებათ ადამიანებს ქუჩაში.

რაც დათესა „ქართულმა ოცნებამ“, იმას იმკის. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს ყველაფერი მოსახლეობაზე გადადის, მოსახლეობის უსაფრთხოებაა დაუცველი, თორემ იმ ბატონებს, ვინც ჯიპებით დაბრძანდებიან ქუჩებში, ეს ნამდვილად არ აწუხებთ.

***– ივანიშვილის ცნობილი განცხადება, გაგებით უნდა მოეკიდოთო, გზავნილიც ხომ არ იყო კრიმინალებისთვის, რაღაც დაუსჯელობის გარანტიების მიღების თვალსაზრისით?***

– რა თქმა უნდა. ასეთი ბევრია. რასაც ვუყურებთ, ჩანს, რომ ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი არსებობს. თუ გყავს მფარველი ხელისუფლებაში, ნაცნობი, ან მეგობარი, შენთვის მწვანე შუქია ანთებული. შეგიძლია ყველაფერი აკეთო და არასოდეს დაისჯები. ამ ხელისუფლებამ სამაგალითოდ დაგვანახა. ეს ყველაფერი მოქმედებს და ყველაზე ცუდი ის არის, რომ რიგითი ადამიანები არიან დაუცველები.

ჩვენ დღეს მივიღეთ ნახევრად კრიმინალური ხელისუფლება, რომელიც დაფუძნებულია იმაზე, რომ ასეთი კრიმინალური მეთოდებით მართოს ქვეყანა.

***– აყენებთ თუ არა გიორგი გახარიას პასუხისმგებლობის საკითხს?***

– ბუნებრივია. უპირველეს ყოვლისა, ეს არის შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხისმგებლობა. თუნდაც თიბისის მოვლენები რომ ავიღოთ, ყველა ნორმალურ ქვეყანაში, რასაც შს მინისტრი გააკეთებდა, იქნებოდა თანამდებობიდან წასვლა და არა მხოლოდ ამიტომ. ძალიან ბევრი ფაქტის გამო, რაც ქვეყანაში ხდება.

თუმცა, ეს ადამიანიც ბიძინა ივანიშვილის მფარველობის ქვეშ არის. შესაბამისად, სანამ ივანიშვილი მის მიმართ კეთილგანწყობილი იქნება, მანამ შეასრულებს შს მინისტრის ფუნქციას. რა თქმა უნდა, გახარია უნდა გადადგეს. არა მხოლოდ ის, არამედ მთავრობის პასუხისმგებლობაა.

***– კულუარებში საუბარი არის იმაზე, რომ შესაძლოა გახარიას პოსტი ირაკლი ღარიბაშვილმა დაიკავოს. თქვენი პოლიტიკური პროგნოზი როგორია?***

– მე ნამდვილად ვერ გეტყვით, რა ჩანაფიქრი აქვს ბიძინა ივანიშვილს. თუმცა, ერთი რამე ფაქტია, შესაკრებთა გადანაცვლებით „ქართულ ოცნებაში“ ნამდვილად არაფერი იცვლება. რომელი მარიონეტი რომელ თანამდებობაზე იქნება, რა მნიშვნელობა აქვს – ყველა თანამდებობის პირი ბიძინა ივანიშვილის აჩრდილია.

ივანიშვილი ამ ხალხს იმის მიხედვით არჩევს, ვინ უფრო კარგად შეასრულებს მის დავალებებს. ასე რომ, გახარია იქნება, ღარიბაშვილი თუ კიდევ სხვა ვინმეს იპოვიან, ამას მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუტები აღარ მოქმედებენ და ყველაფერი მართულია ერთი ადამიანის მიერ.

***– თქვენ როგორ აღიქვით ღარიბაშვილის დაბრუნება? რა გვითხრა ამით ივანიშვილმა?***

– ეს იყო ვა-ბანკზე წასული ადამიანის გადაწყვეტილება, რომელსაც არავინ აღარ დარჩა ირგვლივ, ვისაც შეიძლება ენდოს და დაეყრდნოს. ღარიბაშვილი როგორი ნეგატიური ფიგურაც იყო და როგორი ნეგატიური შეფასებებით წავიდა ხელისუფლებიდან, ეს ყველას კარგად გვახსოვს. ისიც კარგად გვახსოვს, რა ხდებოდა ღარიბაშვილის დროს ხელისუფლებაში. შესაბამისად, მისი დაბრუნება ნიშნავს იმას, რომ ივანიშვილს ფიზიკურად აღარ ჰყავს ადამიანები, რომლებსაც დაეყრდნობა. ამიტომ გადაწყვიტა ღარიბაშვილის დაბრუნება, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ეს უკუშედეგს მოიტანს და ნეგატიურად აისახება „ქართული ოცნების“ იმიჯზე.

დღეს ბიძინა ივანიშვილი ფაქტობრივად პოლიტიკური ბანკროტია. ისევე, როგორც მთლიანად „ქართული ოცნება“. ღარიბაშვილის დანიშვნა ნებისმიერ პოსტზე დააჩქარებს ამ რეჟიმის დასასრულს.

***– ანუ მიიჩნევთ, რომ „ოცნების“ ჩამოშლის პროცესი დაწყებულია?***

– დიდი ხანია, მისი ჩამოშლის პროცესი დაწყებულია. ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველდღე ახალ-ახალი დეპუტატი ტოვებს „ქართული ოცნების“ რიგებს ძალიან ხმამაღლა.

არავინ იფიქროს, რომ ეს ბიძინა ივანიშვილის თამაშია. არანაირი თამაში არ არის. ეს უბრალოდ არის ის, რომ ბიძინა ივანიშვილი ვერ აკონტროლებს „ქართულ ოცნებაში“ არსებულ ვითარებას და მთლიანად ეშლება ხელოვნურად შექმნილი გუნდი.

# „არა მგონია, რომ ღარიბაშვილის გამოცდილება დადებით შედეგს მოგვცემს“

## პეტრე მამრაძე: „ოცნების“ რეიტინგი არ გაზრდილა, ის შეიძლება მხოლოდ ეცემოდეს“

გულიკო ბალაძე

რა შედეგს მოიტანს პარტია „ქართულ ოცნებაში“ ძველი ახალი სახეების შემოყვანა? რას შეცვლის ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება „ოცნებაში? რა ფაქტორი დაუბრუნებს „ოცნებას“ რეიტინგს? სასამართლოს პრობლემამ „ოცნება“ რამდენად დააზარალა? – „ახალი თაობის“ ამ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** პასუხობს.

***– ბატონო პეტრე, როგორ აფასებთ ღარიბაშვილის დაბრუნებას პოლიტიკურ ასპარეზზე? რას შეცვლის ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება „ოცნებაში?***

– ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება არაფერს შეცვლის. მე მესმის ივანიშვილის მოტივაცია, რომელმაც ღარიბაშვილი პოლიტიკაში დააბრუნა. ივანიშვილი ეძებს ადამიანებს კარგი განზრახვებით, რომ ჯერ ერთი, ზუსტად შეასრულებენ დავალებებს, შეუთანხმებელი მოქმედება მათგან მოსალოდნელი არ იქნება. მეორე – ხალხში უარყოფითი რეიტინგი არ ექნებათ.

ბიძინა ივანიშვილს ჰგონია, რომ ღარიბაშვილი ასეთია. მით უმეტეს, ასეთ თანამდებობაზე არ არის მოსალოდნელი, რომ ისევ ცოლის ნათესავები, თამაზაშვილების, ჯანყარაშვილების და ზედელაშვილების კლანი წინა პლანზე წამოიწევენ.

***– ახლა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ყველა ნათესავს, ვინც პრობლემას უქმნიდა, განერიდა.***

– ვინც გასაწევი იყო, გავწიეო. ამის თქმა ყოველთვის შეუძლია ადამიანს, მაგრამ ისიც ნათქვამი აქვს, ცოლის ნათესავი ნათესავი არ არის. რა უნდა გააკეთოს ამ ადამიანმა? ჩვენ გვახსოვს, როგორი პრემიერი იყო, გვახსოვს „ჰაკიმ ფაშასთან“ დაკავშირებული სკანდალი. სწორედ „ჰაკიმ ფაშა“ შეარქვეს მაშინ ღარიბაშვილს.

ჩვენ გვახსოვს ფანტასტიკური კოლორიტული ტანდემი, მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა პრემიერი ღარიბაშვილი და კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა შს მინისტრი ლექსო ჭიკაიძე – რეებს ლაპარაკობდა ის და მასზე ღარიბაშვილი რომ იტყოდა, ლექსო ძალიან სწრაფად იზრდება, დიდი პოტენციალი აქვსო და ამით მთელ საზოგადოებას აცინებდა. შესაბამისად, მე არ ველი რაიმე ისეთს.

***– წარსულის გამოცდილება არაფერს ასწავლის ამ პიროვნებას და პარტიისთვის სასიკეთო არ იქნება მისი ახლანდელი საქმიანობა? ღარიბაშვილი საჭირო პარტიულ სამუშაოს ვერ შეასრულებს?***

– ასეთ რამეს ნაკლებად ველი. ამას სულ სხვა კომუნიკაციის უნარი სჭირდება, ვიდრე ისეთი დამოკიდებულება, როცა სრულიად გამოუცდელი ადამიანი პრემიერის თანამდებობაზე დაინიშნება და შემდეგ ისე იქცევა, როგორც იქცეოდა. ამიტომ ნაკლებად ველი, რომ ღარიბაშვილის გამოცდილება რაღაც დადებით შედეგს მოგვცემს. მნიშვნელობასაც არ ვანიჭებ.

***– რატომ?***

– შეკითხვას, რას შეცვლის, რას მოიტანს, ვპასუხობ, რომ არც არაფერს არ მოიტანს.

***– აცხადებენ, რომ „ქართულ ოცნებაში“ ახალი სახეების, ახალგაზრდების შემოყვანა, ძველი მომხრეების გულის კვლავ მონადირება იგეგმება. მიზანი 2020 წლის არჩევნებისთვის მომზადებაა?***

– დიახ. იმის გათვალისწინებით, ბოლო დროს რა პროცესებიც წარიმართა უმრავლესობაში, „ოცნების“ რეიტინგი დაბალია. ეს განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნების პირველმა ტურმა ცხადყო. მას შემდეგ არავინ შემხვედრია ისეთი, რომ ეთქვას, „ოცნებას“ უკეთესი თვალით ვუყურებო. ამიტომ მისი რეიტინგი არ გაზრდილა და შეიძლება მხოლოდ ეცემოდეს.



ბუნებრივია, ივანიშვილი და სხვები, ვინც ფიქრობენ, ქვეყანაში იყოს სტაბილურობა, რომ რაიმე შავი და დესტრუქციული ძალა არ მოვიდეს ქვეყნის სათავეში, ცდილობენ, მომავალ არჩევნებს მომზადებული შეხვდნენ, რაც სავსებით ბუნებრივი და კონსტრუქციული მიდგომაა.

***– რა ფაქტორი დაუბრუნებს „ოცნებას“ რეიტინგს?***

– აქ შეიძლება თურმეობითში ლაპარაკი, რა ფაქტორი დაუბრუნებდა რეიტინგს.

***– ანუ აღარაფერი ეშველებათ?***

– ნაკლებად ველი, რაღაც ისეთი, თვისობრივად ახალი გაკეთდეს, რომ „ოცნების“ რეიტინგი მართლა მაღლა ავიდეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც სხვა ჯგუფზე ნაკლები რეიტინგი ექნებათ. „ოცნებას“ რჩება ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსი. მხოლოდ „ოცნებას“ შეუძლია, 600 ათასზე მეტს, ვალებში ჩავარდნილ ადამიანს, ვალები გადაუხადოს, რაც განახორციელეს კიდეც. ამიტომ ვამბობ თურმეობითში, მართლა რა გაუწევდა „ოცნებას“ ამ მხრივ დახმარებას რეიტინგის ასამაღლებლად.

***– რა გაუწევდა დახმარებას?***

– ეს იქნებოდა მართვის სისტემის შეცვლა. მაგალითად, მთელ საქართველოს მიაჩნია, რომ პროკურატურას კვლავინდებურად ოთარ ფარცხალაძე კურირებს, თადუმაძე კი მხოლოდ ნომინალური პირია, რეალურად, გადაწყვეტილებას სხვა ღებულობს, კერძოდ, ფარცხალაძე. შესაბამისად, გროვდება საკითხები, რომლებიც ბოლომდე მიყვანილი არ არის. ამას უწოდებენ ხოლმე კარადაში დაგროვებულ ჩონჩხებს. მაგალითად, როგორ ქუხდა ოქუაშვილი და მისი ბრალდებები, 4 მილიონი ლარი გაიტანეს თიბისიდანო. როგორ დამთავრდა, ხომ ვერ მეტყვით?

***– ბოლოს ყველა გაჩუმდა.***

– აი... რაღაც მომენტში ეს ყვირილი და სკანდალები იქამდე მიდის, რომ შიგნით კულუარებში გარიგდებიან. გარიგება, ცხადია, ყოველთვის ფინანსებს უკავშირდება. ამიტომ შემდეგ ჩუმდებიან.

მაგალითად, როგორ გაიყვანეს ქვეყნიდან აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი. ოფიციალური ვერსიის ვინმეს სჯერა? არავის. აი, ასეთი მაგალითები გროვდება. ამიტომ, წესით, უნდა შეიცვალოს პატრონ-ყმური, პატრონ-კლიენტური მართვის სისტემა, რომელსაც ხალხი გრძნობს და ცხადია, პატივს არ სცემს. ეს კი რთული არ არის.

***– სასამართლოს პრობლემამ „ოცნება“ რამდენად დააზარალა?***

– რა თქმა უნდა, დააზარალა, ვინაიდან გამოჩნდა, რომ პარლამენტის ხელმძღვანელობას კონკრეტული ინტერესები ჰქონდა. დააზარალა იმ მხრივ, რომ უკან იხევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხედავენ, თავისი მაქინაციები არ გაუვათ, საზოგადოება ფეხზე დგება და ხმაურია. ნახეთ, ახლა საზოგადოება როგორ უყურებს ხელისუფლებას...

***– როგორ უყურებს?***

– ისინი კი არ არიან, ვისაც კარგი საქმის და სიკეთის კეთება უნდათ, არამედ ეს ის ადამიანებია, ვისაც ამოძრავებთ საკუთარი ინტერესები, მატერიალური კეთილდღეობა და კარიერა, რომ თავისი პოლიტიკური ამბიციები დაიკმაყოფილონ. თუ მათი განზრახვა გამომზეურდა, უკან დაიხევენ, თუ არადა, თავისას გააკეთებენ.

ეს დადებითი დამოკიდებულება არ არის. სააკაშვილის დროს სასამართლოსთან დაკავშირებით, საერთოდ, რა დებატები იქნებოდა, ხმის ამოღებას ვინ გაბედავდა.

> **მაშინ დიპლომატები მეუბნებოდნენ, ესენი არიან გამოქვაბულის ქალები და გამოქვაბულის კაცები. ვაი, თქვენი ბრალი, ესენი თუ მოვიდნენ ხელისუფლებაშიო**

***– მოსამართლეები სააკაშვილის ერთპიროვნული გადაწყვეტილებებით ინიშნებოდნენ.***

– დიახ, მერე იტყოდნენ, შევარჩიეთ, კენჭისყრა ჩავატარეთ, ავირჩიეთო და მორჩა. თუმცა, ყველას ეცოდინებოდა, რომ არავითარი კენჭისყრა შიგნით არ იქნებოდა. ახლა ზოგი ვერც კი იჯერებს, რომ დასავლეთში ჩატარებული სხვადასხვა გამოკვლევით, საქართველოს სასამართლოები თავისი დამოუკიდებლობითა და ეფექტიანობით მე-9 ადგილზეა მთელს ევროპაში, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საქართველო პირველ ადგილზეა. ანუ საქართველოს სასამართლოები თავისი დამოუკიდებლობითა და ეფექტიანობით უსწრებენ პოლონეთს, უნგრეთს, ჩეხეთს, მათ შორის, ნატოს წევრი ქვეყნებიც არიან და ევროგაერთიანებისაც.

***– ეს რით არის გამოწვეული?***

– ეს გამოწვეულია იმით, რომ რაც „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, თვითონ ივანიშვილი არასოდეს აწუხებს სასამართლოებს, არავითარი ინტერესები არ აქვს არც მას და არც მათ, ვინც მისი გუნდის წევრად ითვლება. დანარჩენები, ვისაც დიდი მადა შეიძლება ჰქონოდა სასამართლო ზეწოლისა (თავისი ბიზნესინტერესები გააჩნდა), ვერ ბედავენ ზეწოლას, ცალკეული შემთხვევების გარდა. გავიხსენოთ, „ბადაგონზე“ როგორი ზეწოლა იყო. ჩვენს სასამართლოებში ცუდად ჰქონდა საქმე, მაგრამ შეძლო იმ კაცმა ივანიშვილთან დაკავშირება და საქმე მოგვარდა – დღეს მსოფლიოში საუკეთესო ღვინოებით „ბადაგონი“ უკვე ათეულშია შესული.

სასამართლოზე მოიხსნა პრესი და ციფრებს რომ გადახედოთ – გამამართლებელ განაჩენებს, გირაოს შეფარდებას, პატიმრობის შეფარდებას თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამარჯვებებს – შედარება არ შეიძლება. ზოგიერთი მაჩვენებელი 200-300-ჯერ გაიზარდა.

ბიზნესმენები ამბობენ, რომ ახლა სამოთხეა იმასთან შედარებით, რაც იყო, მაგრამ მთლიანობაში ხალხში დადებითი დამოკიდებულება არ არის. მთელ მსოფლიოში ასეა – ხელისუფლება სულ უნდა აკონტროლო, თორემ თავის სასარგებლოდ რაღაცას მოიმოქმედებს.

სასამართლოებთან დაკავშირებით უკან დაიხიეს, მათ ეს პატივისცემას არ მატებს. ეს იგივეა, ადამიანი ქრთამის აღებას აპირებდაო, რომ დაიჭირო და ქრთამი აღარ აიღოს. ამის შემდეგ იმ ადამიანს პატივს სცემენ? არა. ქრთამი აღარ აიღო, მაგრამ ხომ აპირებდა აღებას? ეს მომენტია.

ავიღოთ ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის საქმე. სააკაშვილის დროს ადამიანი ვერც იოცნებებდა, რომ პროკურატურას რაიმე შეეცვალა.

ჩვენ გვახსოვს, ხათუნა პაიჭაძემ თბილისში ვითომ მოკლული ადამიანი რომ ჩამოიყვანა, რომლის მკვლელობისთვის კონკრეტულ პიროვნებას მისჯილი ჰქონდა სამუდამო პატიმრობა თუ დიდი ვადით პატიმრობა. 100%-იანად დამტკიცდა, რომ აგერ ის „მოკლული“ კაცი ცოცხალია და სოფელში თავისთვის ცხოვრობს. გადახედეს და არ გვაინტერესებსო. აი, როგორ ვითარებაში ვცხოვრობდით.

***– ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას ბევრი აგდებულად შეხვდა. თინა ხიდაშელმა მასზე განაცხადა, პოლიტიკაში უნდა იყო, რომ დაბრუნდეო, ანუ ძალიან დაამცირა ღარიბაშვილის პერსონა. რა შეგიძლიათ თქვათ მათზე, ვინც ასეთნაირად შეხვდა ღარიბაშვილის დაბრუნებას?***

– ამ ადამიანებს ძალიან მცდარი შეხედულება აქვთ იმაზე, რა არის რეალური პოლიტიკა. მათ ჰგონიათ, მეტ-ნაკლები უნარი დემაგოგიისა და პოპულიზმისა, რომლის წყალობით გახდნენ ე.წ. ცნობადი სახეები, არის პოლიტიკა. ეს არ არის პოლიტიკა.

მე გვარების დასახელება არ მინდა, მაგრამ არაერთი სიტუაციის მომსწრე ვარ, როცა მე ვხვდებოდი დელეგაციებს და საქართველოს მხრიდან იყვნენ ისინი, თავი რომ მოაქვთ პოლიტიკოსებად და მათი სრულიად თავისმომჭრელი ქცევა და ლაპარაკი მახსოვს, რაზეც გაკვირვებულ უცხოელებს შემდეგ უკითხავთ, ესენი ვინ არიან, საიდან მოდიანო.

***– ვინ იქცეოდა თავისმომჭრელად უცხოელებთან შეხვედრის დროს?***

– არა, არა. ასეთ დროს მე ყოველთვის ვახსენებ არაჩვეულებრივ გამოფენას რუსთაველის გამზირზე, როცა 2009 წელს საკნები გაშალეს. მაშინ ვინ იდგნენ რუსთაველზე. მათი გვარები გახსოვთ?

***– როგორ არ მახსოვს. ბევრნი იყვნენ, გაჩეჩილაძეებით რომ დავიწყოთ.***

– გაჩეჩილაძეებით დავიწყოთ, უსუფაშვილით და თინა ხიდაშელით, რესპუბლიკელები, ნინო ბურჯანაძე და სალომე ზურაბიშვილი, ალასანია, ბესელია. ბევრნი იყვნენ.

იმ დროიდან ორი რამ მახსოვს. ერთი – მოძრაობა გადაკეტილი იყო. მაშინ პარლამენტის წევრი ვიყავი და პარლამენტში ფეხით მივდიოდი. გზაში ხალხი მელაპარაკებოდა, რისთვის შეიკრიბნენ? უნდათ დაგვარწმუნონ, რომ ამათ ისევ მიხეილ სააკაშვილი და მისი ხალხი სჯობს? ამისთვის შეიკრიბნენ?

სხვათა შორის, სალომე ზურაბიშვილი იყო ერთადერთი, ვინც შემდეგ საჯაროდ აღიარა, ჩვენი მაშინდელი მოქმედება იყო კონტრპროდუქტიული, ამით ჩვენ სააკაშვილს პოლიტიკური არსებობისთვის კიდევ რამდენიმე წელი ვაჩუქეთო.

ამის მოყოლა იმიტომ დავიწყე, მაშინ „თბილისი მერიოტში“ ერთგვარი შტაბბინა შეიქმნა. თითქმის ყოველდღე დიპლომატებს ხვდებოდნენ. შემდეგ ამ დიპლომატებს მე ვხვდებოდი, რომლებიც გაოგნებულები მეუბნებოდნენ, ჩვენ გვქონდა იმედი, რაღაც კონსტრუქციული დამოკიდებულება იქნებოდა, ვინაიდან ქართველი ხალხი ნამდვილად იმსახურებს უკეთეს ხელისუფლებას, ვიდრე დღევანდელიაო. როგორც ვხედავთ, ესენი დაკავებული არიან ურთიერთლანძღვა-გინებით, ურთიერთდაპირისპირებით, ე.ი. იბრძვიან პრეზიდენტობისთვის, სააკაშვილი ვის ახსოვსო.

მაშინ დიპლომატები მეუბნებოდნენ, ესენი არიან გამოქვაბულის ქალები და გამოქვაბულის კაცები. ვაი, თქვენი ბრალი, ესენი თუ მოვიდნენ ხელისუფლებაშიო. ხელისუფლებაში მოხვედრისთვის ყველაფერზე მიდიან.

ძირითადი ეს არის. ამ პრინციპით მოქმედებენ ჩვენი ე.წ. პოლიტიკოსები.

# თეა წულუკიანი გადადგომით იმუქრება

## რა კავშირი აქვს მის წასვლას ღარიბაშვილის მოსვლასთან

შორენა მარსაგიშვილი

ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება, სავარაუდოდ, „ოცნებაში“ ყველაფერს თავდაყირა დააყენებს. მისი დაბრუნების შემდეგ რამდენიმე მინისტრმა თანამდებობის დატოვება გადაწყვიტა.

ამ ინფორმაციას „ქართულ ოცნებაში“ ოფიციალურად არ ადასტურებენ, სამაგიეროდ, პირად საუბრებში ამბობენ, რომ ღარიბაშვილის დაბრუნების შემდეგ მაია ცქიტიშვილმა და თეა წულუკიანმა წასვლა გადაწყვიტეს.



როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ორივე მათგანს ყოფილ პრემიერთან სერიოზული უთანხმოება აქვს. „ოცნებაში“ ამბობენ, რომ თეა წულუკიანი ერთ-ერთი იყო იმ მინისტრებიდან, რომელმაც წლების წინ ივანიშვილს ღარიბაშვილზე კომპრომატები მიუტანა.

რაც შეეხება მაია ცქიტიშვილს, ის ბიძინა ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი იყო. პრემიერობიდან წასვლის შემდეგ მან ცქიტიშვილი მთავრობაში ადმინისტრაციის უფროსად დატოვა. თუმცა გაპრემიერებულმა ღარიბაშვილმა ის ჩააჩოჩა. მისი პრემიერობის დროს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ფაქტიურად ნინო კობახიძე იყო, რომელიც, თავის მხრივ, ღარიბაშვილის ახლობელია.

ცნობილია ის ფაქტიც, რომ ყოფილ პრემიერს გადადგომა ივანიშვილმა ცქიტიშვილის პირით მოსთხოვა.

ხმები თეა წულუკიანის გადადგომის შესახებ 8 მარტს გავრცელდა. მაშინ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. გუშინ, 11 მარტს კი ის „ქართულ ოცნებას“ წასვლით დაემუქრა.

მისი თქმით, თუ მისი პოზიცია არ იქნება გაზიარებული, ის თანამდებობას დატოვებს. თეა წულუკიანის განმარტებით, საქმე ეხება იუსტიციის სამინისტროს შიგნით გადასაჭრელ საკითხს და ის ელოდება, იქნება თუ არა გაზიარებული მისი პოზიცია.

– პირველ რიგში, შემიძლია ვთქვა, რომ არ გადავმდგარვარ, თუმცა არის 4-5 დღის წინ გაჩენილი საკითხი, რომელიც ეხება ჩემი სამინისტროს უფლებამოსილების ფარგლებში გადასაწყვეტ საკითხს. ამ თემაზე მიმდინარეობს დისკუსია, მე მაქვს ჩემი ძალიან მყარი პოზიცია, რომელიც არც რომელიმე ერთ რეფორმას, არც რომელიმე ერთ პროცესს ან პროცედურას არ ეხება. ეს არის საკითხი, რომელიც ჩემს თვალში არის ძალიან მასშტაბური, მნიშვნელოვანი და თუ ვნახე, რომ ეს პოზიცია არ იქნება გაზიარებული, რა თქმა უნდა, არ ვიფიქრებ არც ერთ წუთს და გვერდზე გავიწევი იმიტომ, რომ თანამდებობა არ არის ფასეულობა.

ეს საკითხი არის წმინდად იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილების ფარგლებში გადასაჭრელი თემა. ეს ეხება რომელიმე რეფორმას ან პროცესს, მათ შორის, პარლამენტში მიმდინარეს. რაიმე ტრაგიკული არ ხდება. ვფიქრობ, ეს არის ჯანსაღი პროცესი და თუ მე ვნახე, რომ ის პოზიცია, რომელიც მე მაქვს, არ იქნება გაზიარებული, ვიტყვი, რომ ვცდებოდი და სხვა შეასრულებს ჩემს უფლებამოსილებას. ჩემი წასვლის პროცესი დაწყებული არ არის, – განაცხადა ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრმა.

# „კალაძის გეგმაა, ტაქსის მძღოლები მონებად აქციოს“

ლელა მდივანი

ორთაჭალის ავტოსადგურთან ტაქსის მძღოლებს ავტომანქანების გასაჩერებელი ადგილები შეეზღუდათ. მათ ამ ტერიტორიაზე გაჩერების უფლების დასაბრუნებლად აქცია გამართეს და მერიას მოთხოვნის შესასრულებლად დრო ერთი კვირა მისცეს. პროტესტს მერიაში მალევე გამოეხმაურნენ, თუმცა, როგორც „ახალი თაობასთან“ „ლეიბორისტული პარტიის“ უფლებადაცვითი ცენტრის ხელმძღვანელი ლაშა ჩხარტიშვილი აღნიშნავს, ეს განცხადება მერიის წერილის შინაარსის არაიდენტურია და საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ ხელისუფლება ავტოსადგურის წარმომადგენლობასთან კორუფციულ გარიგებაშია.

რატომ ქმნის მერია ტაქსებისთვის ხელოვნურ ბარიერებს, რა კავშირი აქვს ბიძინა ივანიშვილს „ტაქსების მონოპოლიზების გეგმასთან“, რა ბედი ელით ავტოსადგურის მძღოლებს, რომლებსაც ერთადერთი შემოსავლის წყაროს უზღუდავენ და როგორია „ლეიბორისტების“ სამოქმედო გეგმა, — ამაზე ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ უფრო ვრცლად საუბრობს.

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

— ტაქსის მძღოლებს აქვთ ინფორმაცია, რომ თითქოს საარჩევნო კამპანიის დროს, ორთაჭალის ავტოსადგურის წარმომადგენლობა შემომწირველიც კი იყო ხელისუფლების და სალომე ზურაბიშვილის. ამ ეჭვს უძლიერებთ ისიც, რომ ის ემუქრებოდა მათ, რომ არჩევნების შემდეგ მოგივლითო და ასე მოუარაო. მერიის მეშვეობით ხელისუფლებამ გარიგება განახორციელა როგორც ჩანს, ორთაჭალის ავტოსადგურის ხელმძღვანელობასთან და ცდილობს, კიდევ უფრო დიდი ფული მოხვეჭოს ადამიანების მონებად ქცევის მცდელობის ფონზე.

***— ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის განცხადებით, მერიამ ორთაჭალის ავტოსადგურის ტერიტორიაზე ტაქსის მძღოლებს ორი, მიმდებარედ კი, 10 ადგილი გამოუყო. თუმცა, მძღოლები შეთანხმებას არღვევენ და ამ ტერიტორიას საერთაშორისო რეისებისთვის იყენებენო. მის ამ განცხადებას როგორ უპასუხებდით. ეს არ არის საკმარისი თქვენი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად?***

— ეს არის აბსოლუტური აბსურდი, რაც ტაქსების მძღოლებთან დაკავშირებით განაცხადა სატრანსპორტო სამსახურის უფროსმა იქიდან გამომდინარე, რომ პირველი, მათივე წერილი, რომელიც გვაქვს ხელთ, არ საუბრობს არანაირ გზასთან არსებულ შეფერხებებზე, რომელიც ბუნებაში არც არსებობს. ტყუის უბრალოდ ეს ადამიანი და მერია მთლიანობაში იქიდან გამომდინარე, რომ მათ თუ რაიმე რეალური გააჩნდათ, რის გამოც სრულიად უსაფუძვლოდ აუკრძალეს დგომა მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც იყო სითი პარკის მიერ ორგანიზებული ოფიციალური ავტოსადგომი, მაშინ ისინი, ბუნებრივია, ამ მიზეზს დაწერდნენ ქაღალდზე, იმ წერილის პასუხად, რომლითაც მიმართეს ტაქსისტებმა მერიას. ამის მაგივრად, მათ მიწერეს წერილი იმის თაობაზე, რომ თურმე გაზონის მოწყობას და მის აღდგენით სამუშაოებს უშლის ხელს ტაქსების დგომა სავალ ნაწილზე. აქვე განვმარტავ, რომ გაზონსა და სავალ ნაწილს შორის არის უამრავი ტროტუარი და მე არ მგონია, რომ მერია ტროტუარის გაუქმებას და გამწვანებას აპირებდეს. ტროტუარს არავინ გაამწვანებს. შესაბამისად, ამ მიზეზების მოგონება და მოჩხრეკა, არის უბრალოდ ტყუილი და თავის გადარჩენის მცდელობა.

***— როგორ ფიქრობთ, რატომ გააკეთა ეს მერიამ?***

— რეალურად, საქმე გვაქვს იმასთან, რომ მერია კორუფციულ გარიგებაში არის ავტოსადგურის ხელმძღვანელობასთან, რომლის სურვილია, რომ ტაქსის მძღოლები იძულებით შეიყვანოს სადგურის ტერიტორიაზე და ყოველ გასვლა-შემოსვლაში უამრავი ფული ახდევინოს. ამასთან, როგორც თვითონ ტაქსის მძღოლები აცხადებენ, 50 ლარს სთხოვენ. სადგური გააუქმა მერიამ და სხვა მიზეზი არ არსებობს, რის გამოც ეს გააკეთა. არც ტროტუარის გამწვანებაა აქ მიზეზი და არც გადაადგილება, იმიტომ, რომ ამის შესახებ არც წერენ წერილში და ზეპირად რაღაცებს იგონებენ. შესაბამისად, ამ ყველაფრის ლოგიკური ახსნა ისაა, რაზეც მე ვსაუბრობ და ამას ამტკიცებს თუნდაც ტაქსის მძღოლების არაერთი განცხადება.



***— კონკრეტულად რა განცხადებებზეა საუბარი?***

— განცხადება იმის თაობაზე, რომ ორთაჭალის ავტოსადგურის ხელმძღვანელობა ცდილობს მძღოლები დააყენოს საკუთარ ტერიტორიაზე და ყოველ გასვლა-შემოსვლაში 2-2 ლარი ახდევინოს და ამის გარდა, კიდევ საფასურს სთხოვს კვირაში 50 ლარამდე ფარგლებში თანხას. ეს არის უბრალოდ ყაჩაღობა. მათ უნდათ, რომ მონებად აქციონ და მონებად ამუშაონ ტაქსის მძღოლები. ორთაჭალის ავტოსადგური იქცა ერთადერთ სადგურად დედამიწაზე, სადაც მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსადგომი არ არსებობს და ამ აბსურდული ზომების წინააღმდეგ ვიბრძვით და ვიბრძოლებთ ბოლომდე. ზოგადად ტაქსის მძღოლების მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

ამ კვირაში ვაპირებთ ორთაჭალის თემაზე პროტესტს, რათა ისინი გადავარჩინოთ ხელისუფლების მხრიდან სამუშაოს წართმევისაგან, რაც არის რეალურად სახეზე უკვე ამ კამპანიის ფარგლებში და როგორც კი კალაძემ დაიწყო ამაზე საუბარი, ჩვენ ვაფრთხილებდით ამის შესახებ. ეს ყველაფერი თუ განხორციელდება, ათასობით ადამიანი დაკარგავს სამუშაოს და ამასთან, ტაქსებიც გაძვირდება, რაც კარგიაო, განაცხადა კალაძემ. ასეთი უტიფრობა იშვიათია, რაც იკადრა თბილისის მერმა.

***— მძღოლები თუ იყვნენ წინასწარ ინფორმირებული ამ აკრძალვის შესახებ? თუ არანაირი გაფრთხილება არ მიუღიათ?***

— ამას არ აქვს მნიშვნელობა. აკრძალვა არის უსაფუძვლო, ავადმყოფურიც, შეიძლება ითქვას. იმიტომ, რომ ავტოსაგდურის მთელ ტერიტორიაზე ტაქსები დგანან და ორი ადგილის გამოყოფა, რომელზეც აპელირებდა მერიის წარმომადგენელი, ამას ჰქვია დაცინვა. ათობით ადამიანი საქმიანობდა იქ და იყო ოფიციალური სადგომი, რომელიც წლების განმავლობაში არავის არ უშლიდა ხელს. სხვათა შორის, ტაქსის მძღოლები იმასაც აცხადებენ, რომ თითქოს საარჩევნო კამპანიის დროს, ორთაჭალის ავტოსადგურის წარმომადგენლობა შემომწირველიც კი იყო ხელისუფლების და სალომე ზურაბიშვილის. ამ ეჭვს უძლიერებთ ისიც, რომ ის ემუქრებოდა მათ, რომ არჩევნების შემდეგ მოგივლითო და ასე მოუარაო. მერიის მეშვეობით ხელისუფლებამ გარიგება განახორციელა, როგორც ჩანს, ორთაჭალის ავტოსადგურის ხელმძღვანელობასთან და ცდილობს კიდევ უფრო დიდი ფული მოხვეჭოს ადამიანების მონებად ქცევის მცდელობის ფონზე.

# თინათინ ჭავჭანიძე: „შიშის გამო ცხოველზე თავდასხმა ყველაზე არასწორო ფორმაა“

ლელა მდივანი

2018 წელს ცხოველთა მიმართ ადამიანების მხრიდან სასტიკი მოპყრობის შვიდი შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთაგან სამი ფატალურად დასრულდა. როგორც თბილისის მერიის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსი ვახტანგ ლომჯარია აცხადებს, დედაქალაქში ცხოველთა მიმართ ნაკლებად სასტიკი, მაგრამ ცხოველებისთვის ტრავმის მიმყენებელი კიდევ 784 შემთხვევაც ფიქსირდება, რომელთა ნაწილი ავტოსაგზაო შემთხვევებზე მოდის.



ცხოველთა უფლებადამცველები სახელმწიფოსგან კანონის გამკაცრებას მოითხოვენ და აცხადებენ, რომ დღეს არსებული რეგულაცია სუსტია და გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებს.

თუ რა რეგულაციაა საჭირო ადამიანის აგრესიისგან ცხოველების დასაცავად, რატომ არის შიშის გამო ცხოველზე თავდასხმა არასწორი მიდგომა და როგორ უნდა მოვიქცეთ მისგან თავის დასაცავად, — ამაზე „ახალ თაობას“ ცხოველთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე თინათინ ჭავჭანიძე ესაუბრა.

**თინათინ ჭავჭავაძე:**

— ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტში შევიტანეთ კანონპროექტი კომპანიონი ცხოველების კეთილდღეობის შესახებ. წინა პარლამენტს არ მიუღია ეს კანონპროექტი. ამ მოწვევის პარლამენტშიც შეტანილი ისევ გვაქვს ეს კანონპროექტი, რომელზედაც პარლამენტში მუშაობდა ჯგუფი. აღნიშნული კანონპროექტი გულისხმობს ყველა წესს, რომელიც ადამიანმა უნდა დაიცვას იმისთვის, რომ დაცულები იყვნენ ცხოველები. ამ კანონპროექტს თან ახლდა სხვა კანონებში შესატანი ცვლილებების პაკეტი. მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომელიც ასევე გულისხმობდა ცხოველთა ორთაბრძოლების აკრძალვას და სასჯელს მათთვის, ვინც ამ ბრძოლებს აორგანიზებს, რეკლამას უწევს, მოკლედ, მონაწილეობს მასში. ჯერჯერობით ეს კანონპროექტი არ ყოფილა განხილული პარლამენტში. სამაგიეროდ, დღეს განიხილება სასტიკი მოპყრობის 259-ე მუხლის გამკაცრების ვარიანტი, რომელიც ჩვენი, ანუ ავტორების აზრით და ასევე ცხოველთა დამცველების აზრით, არაფერს არ შეცვლის, ვინაიდან არ არის შეცვლილი აბსოლუტურად თვითონ მუხლის შინაარსი. როდესაც ლაპარაკობ სისასტიკეზე ან არასათანადო მოპყრობაზე, უნდა ზუსტად განსაზღვრო რას ნიშნავს ეს, რომელია არასათანადო და რომელია სისასტიკე. ჩვენი კანონპროექტის მიხედვით, ყველაფერი განსაზღვრულია.

***— სხვა ქვეყნების მაგალითზე რომ გვითხრათ, როგორი პრაქტიკაა ამ მხრივ. მსგავსი რეგულაციები და არასათანადო მოპყრობის თუ სისასტიკის შესახებ ზუსტი განსაზღვრებების შეტანა იძლევა შედეგს საბოლოოდ?***

— როდესაც რეგულაცია იწერება, ის არ უნდა იძლეოდეს ინტერპრეტაციის საშუალებას. უნდა იყოს მკაფიო და რომ კითხულობ, ისე უნდა იყოს განსაზღვრული, რომ კარგად გაიგო შედის თუ არა ეს სისასტიკეში. თუ აღმასრულებელი არ მოქმედებს ამ კანონის მიხედვით, არ აღასრულებს თვითონვე, არ სჯის შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასამართლო არ მიუსჯის სასჯელს, თუ ეს ჩაითვლება უბრალო ქაღალდზე დაწერილად, ამ შემთხვევაში, არაფერი არ ამართლებს ქვეყანაში. არც ადამიანთან მიმართებაში და არც ცხოველებთან.

***— ზოგადად, ცხოველებზე ძალადობის ფაქტები რა მიზეზით არის ხოლმე განპირობებული?***

— პირველი, ეს არის ფსიქიკური გადახრის ბრალი, მეორე, ეს არის აგრესია, რომელიც ყველაზე ადვილად მისამართია და განსახორციელებელია დაუცველი ცხოველის მიმართ და მესამე, საზოგადოების დამოკიდებულება და მათ შორის, რა თქმა უნდა, ყველა იმ ინსტიტუციის, რომელიც ასევე თვლის, რომ „ეს არის ცხოველი, მერე რა“ და არ სჯის სათანადოდ ამის ჩამდენს. ეს ნიშნავს იმას, რომ უბრალოდ საზოგადოება არის სრულიად უმეცარი და ცხოველი თუ მოკლა, ამბობენ, რომ არა უშავს. იმას, რომ ადამიანი იქნება შემდეგი, ვერ ფიქრობენ.

***— ცნობიერების ასამაღლებლადაც ხომ არ იქნება მიზანშეწონილი გარკვეული ღონისძიებების გატარება***

— ჩვენ დავდივართ სკოლებში და გვაქვს საგანმანათლებლო პროგრამა. ამაზე ლაპარაკობენ ასე თუ ისე მედიაში, ამოიღეს ხმა და მგონი დაინახეს კავშირი ცხოველზე ძალადობასა და ადამიანზე ძალადობას შორის, იმიტომ, რომ აქედან გამოდის ოჯახური ძალადობა, ქალებზე და ბავშვებზე ძალადობა. ყველაზე დაუცველი ნაწილი ყოველთვის მსხვერპლია. იწყება ცხოველიდან და მერე უკვე გადადის ადამიანზე. განათლებაა ყველაფერი.

***— ხომ შეიძლება ცხოველის მიმართ ძალადობა, თავდაცვიდან გამომდინარე განახორციელონ. ამ შემთხვევაში რა იქნება თქვენი რჩევა მოქალაქისთვის? მაგალითად, გზაზე მიდიხარ და ძაღლი გამოგეკიდა. რა უნდა გააკეთო?***

— ქუჩაში თუ მიდიხარ და გამოგეკიდა, ეს ის არის, რაზეც ჩვენ ბავშვებს ველაპარაკებით ხოლმე. ელემენტარული წესის არცოდნა. არ არსებობს, ძაღლი უმიზეზოდ გამოგეკიდოს. უნდა მიაქციო ყურადღება, რა პროცესშია იმ მომენტში ცხოველი. ხომ არ ჭამდა მაგალითად. არის სიტუაციები, როცა ადამიანი ან ცხოველი დაახლოებით ერთნაირად იქცევიან. ამიტომ არის, რომ დავდივართ სკოლებში და ვასწავლით ბავშვებს სიფრთხილეს, რათა არ მოხდეს ასეთი ინციდენტები. მაგრამ მოკლა ცხოველი იმიტომ, რომ გამოგეკიდა, უკვე ალბათ პოტენციურად მკვლელი გამოდიხარ. შიშისგან მასზე თავდასხმა ყველაზე არასწორი ფორმაა. ამიტომ, პირველ რიგში, უნდა იცოდნენ წესები ადამიანებმა. დაინტერესდნენ, როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ დროს. მაგრამ საზოგადოებას ეს არ აინტერესებს. საზოგადოება არის რატომღაც დაშინებულ და უსწავლელ მდგომარეობაში ერთდროულად.

***— არსებულ ცხოველთა თავშესაფრებს თუ აქვთ იმის რესურსი, რომ ამ ცხოველებს მოუაროს?***

— რატომ ჰგონია ვინმეს, რომ იმ ცხოველმა დაიმსახურა, რომ იჯდეს ვოლიერში მთელი ცხოვრება მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ არ იცის ქცევა და ეშინია მისი?! ეს არის საერთაშორისო საზოგადოების და მათ შორის ცხოველთა ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ აღიარებული მეთოდი, როდესაც ქვეყანას ჰყავს უსახლკარო ცხოველები, მათ იჭერენ, ასტელირებენ, ცრიან და აბრუნებენ იმ ადგილზე, სადაც ისინი დაიბადნენ. არსებობს მიმკედლებლის სტატუსიც. ადამიანი ეზოში, ქუჩაში მიიკედლებს ცხოველს და მასზე, მის ჯანმრთელეობაზე ზრუნავს. ამასთან, უნდა არსებობდეს თავშესაფრის რეგულაცია. ჩვენ კანონშიც აღნიშნულია, რომ თავშესაფარსაც აქვს თავისი რეგულაციები და სტანდარტები. ძალადობა სადაც არ უნდა ხდებოდეს, ყველაფერი ცივილიზებულ ქვეყნებში რეგულაციებით რეგულირდება.

# „ოცნება“ ზუგდიდის მერობის კანდიდატზე ვერ თანხმდება

## რა მოლაპარაკებები გაიმართა მეუფე გერასიმესთან

შორენა მარსაგიშვილი

დიდი ამბები იქნება მაისის თვეში ზუგდიდში. მერის ვადამდელი არჩევნების მოგება ოპოზიციასაც უნდა და ხელისუფლებასაც. ოპოზიციაში შეგუებული არიან იმ ფაქტს, რომ „ქართული ოცნების“ მთავარი კონკურენტი ყოფილი ხელისუფლების კანდიდატი იქნება.

რამდენიმე ნაწილად გაყოფილი ყოფილი ხელისუფლება შეთანხმდა, რომ ამ არჩევნებზე ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან. კანდიდატურას ნაციონალური მოძრაობა წამოაყენებს და ის ნიკა მელია იქნება.



„ქართულ ოცნებაში“ კი მისთვის კონკურენტის მოძებნა ძალიან გაუჭირდათ. მმართველმა გუნდმა რამდენჯერმე შეცვალა პოზიცია.

ცოტა ხნის წინ „ქართულმა ოცნებამ“ ფაქტიურად დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი ირაკლი ჩიქოვანის კანდიდატურას დაასახელებდნენ. დაიწყო კიდეც მუშაობა მის გასაპიარებლად, მაგრამ გიორგი გახარიას გადაწყვეტილებამ ყველაფერი შეცვალა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებამდე ყველაზე მაღალი ნდობით სარგებლობდა ივანიშვილის კარზე, გადაწყვიტა, რომ ჩიქოვანი მთავრობაში უფრო გამოადგებოდა.

რამდენიმე კვირის წინ გამართული მათი შეხვედრის თაობაზე „ახალი თაობა“ უკვე წერდა. მაშინ გახარიამ ჩიქოვანს უთხრა, რომ ის პრემიერად მიდიოდა და შს მინისტრის პოსტი მას უნდა დაეკავებინა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# რა თქვა სალომე ზურაბიშვილმა ბაქოში

## ბაქო და ერევანი საქართველოს ახალ საგარეო პოლიტიკაზე ალაპარაკდნენ

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლება, როგორც წესი, თავს არიდებს შეფასებებს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებულ კონფლიქტზე. ამავე დროს, საქართველოს წარმომადგენლები გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომებზე მხარს უჭერდნენ იმ რეზოლუციებს, რომლებშიც საუბარი იყო აზერბაიჯანის ტერიტორიის ოკუპაციაზე.

საქართველოს პრეზიდენტის მეზობელ აზერბაიჯანში ვიზიტიდან გარკვეული ხანი გავიდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს მეზობლები ისევ ეხმაურებიან სალომე ზურაბიშვილის მიერ ბაქოში გახმაურებულ გამონათქვამებს მთიანი ყარაბაღის მწვავე თემაზე.

სალომე ზურაბიშვილის მხრიდან მთიანი ყარაბაღისა და მიმდებარე ტერიტორიის ოკუპაციის დაგმობა, ასევე წუხილი აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის არაღდგენის გამო, სენსაციურად შეფასდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ განცხადებებს არ მოჰყოლია საქართველოს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მსგავსი გამონათქვამები, ბაქოსა და ერევანში სიახლეებს ელიან. იქ ალაპარაკდნენ იმაზე, რომ საქართველო ახლებური პოლიტიკის გატარებას იწყებს.

აზერბაიჯანელი და სომეხი ექსპერტების აზრით, სალომე ზურაბიშვილი გამოცდილი დიპლომატია. იგი ბაქომდე ვიზიტით იმყოფებოდა ბრიუსელში, პარიზსა და ბერლინში. ამიტომ მისი განცხადებები აღიქმება ფართო საერთაშორისო კონტექსტში. კავკასიაში ასკვნიან, რომ ევროპა დაიღალა მთიანი ყარაბაღის გარშემო შექმნილი უსამართლო სტატუს-კვოთი და პრობლემის მოუგვარებლობით.

ამაზე საქართველოც არის დამოკიდებული – თუ ყარაბაღის საკითხი გადაწყდა, ეს გავლენას იქონიებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე.

მთიანი ყარაბაღის პრობლემას მსოფლიოში გაცილებით მეტი დრო და ადგილი ეთმობა, ვიდრე საქართველოს კონფლიქტებს. ეს ხელს არ უშლის მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთისა და



ცხინვალის რეგიონის რეჟიმების ერთმანეთთან „ძმურ" თანამშრომლობას.

ივნისში სტეპანაკერტში იგეგმება კონიფას საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სოხუმისა და ცხინვალის საფეხბურთო ნაკრებებიც მონაწილეობენ. კონიფას შტაბბინა შვეიცარიაში მდებარეობს, სტატუსი კი გაუგებარია.

ბოლო დროს სხვადასხვა მხრიდან გამოითქმის მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარების სხვადასხვა ვარიანტი. არსებობს ინიციატივა, რომ საკითხი გადაიჭრას სომხეთის მხრიდან ტერიტორიის ნაწილის დათმობის ხარჯზე. ამგვარი ვერსია ამერიკელმა პოლიტოლოგებმაც წამოსწიეს.

ღიად მხარეებს არ უმსჯელიათ. ერევანში ამ მიდგომებს უკვე აპროტესტებენ. ცოტა ხნის წინ ერევანში გამართულ მიტინგზე მისმა არაპოლიტიკოსმა მონაწილეებმა განაცხადეს, რომ სომხეთი არ უნდა დათანხმდეს დარეგულირებას ტერიტორიების დათმობის სანაცვლოდ.

პოლიტიკოსებმა მოქმედი პრემიერი ნიკოლ პაშინიანი ყარაბაღში 31 წლის წინ დაწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობის დამცრობაში დაადანაშაულეს. პაშინიანმა მაშინდელ მოვლენებს ხავერდოვანი რევოლუცია უწოდა.

ითვლება, რომ სომხეთის ახლანდელი პრემიერი ეცდება კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგებას, ასევე საქართველოსთან ურთიერთობის გაუმჯობესებას.

სომხეთი, რომელსაც ამჟამად თურქეთთან და აზერბაიჯანთან მიმოსვლა არ აქვს, თავს ისევ ეკონომიკურ იზოლაციაში გრძნობს. ერევანი საქართველოს იმედზეა.

ირანი, ამერიკული სანქციების გამო, სტაბილურად არ ითვლება.

## ვაჟა-ფშაველაზე გიორგი მღებრიშვილი დაჭრეს

ვაჟა-ფშაველას გამზირზე, დელისის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე 23 წლის მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს.

როგორც თვითმხილველებმა ნიუპოსტს უთხრეს, ადგილზე რამდენიმე გასროლის ხმა გაიგეს. მათივე თქმით, დაჭრილი ახალგაზრდა გიორგი მღებრიშვილია.

გიორგი მღებრიშვილი მანქანაში ჩაცხრილეს. მას 6 ტყვია აქვს მოხვედრილი.

თვითმხილველების თქმით, ახალგაზრდა მამაკაცს ორმა პირმა ესროლა, რის შემდეგაც ისინი შემთხვევის ადგილიდან მანქანით მიიმალნენ.

დაჭრილი რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შსს-ში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით 19-108-ე და 236-ე მუხლებით არის დაწყებული, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# „სახელმწიფოს არ ვთხოვთ იმ რისკებში შემოსვლას, რომლის კაპიტალში კონსორციუმი მონაწილეობს"

– სახელმწიფოს არ ვთხოვთ იმ რისკებში შემოსვლას, რომლის კაპიტალში კონსორციუმი მონაწილეობს, – ამის შესახებ „ანაკლია სითის" აღმასრულებელმა დირექტორმა, ქეთი ბოჭორიშვილმა გადაცემაში „Forbes კვირა გიორგი ისაკაძესთან ერთად" განაცხადა.

– ამ პროექტში 4 წამყვანი ფინანსური ინსტიტუტი აქტიურად არის ჩართული და თითქმის მოლაპარაკებების ბოლო ფაზაში ვართ. მათ დააყენეს რამდენიმე საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია პროექტის არამხოლოდ წარმატებულად განხორციელებისთვის, არამედ მთლიანად ოპერირების კუთხით.

ბანკები ითხოვენ კონკრეტულად ტვირთბრუნვის გადაზიდვების რისკების დაზღვევას, რომელიც არ არის უპირობო სახელმწიფო გარანტია. ის, რომ საერთაშორისო ოპერატორი გვყავს პროექტში, ის, რომ ჯგუფს აქვს ძალიან დიდი გამოცდილება მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის კუთხით, ამაზე კითხვები არ იბადება.

კონკრეტულმა ფინანსურმა ინსტიტუტმა თქვა, რომ ეს კიდევ უფრო სახელმწიფო ინტერესში უნდა იყოს, ინფრასტრუქტურა და პოლიტიკა მეზობელ ქვეყნებში, რომ ტვირთბრუნვაზე ხელისშემშლელი ფაქტორები გაცილებით შეიძლება სხვა იყოს, ვიდრე კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტი.

შესაბამისად ეს არის მათი პირობა, ერთ-ერთი პირობა და ყველაზე მნიშვნელოვანი. ხაზგასასმელია, რომ ჩვენ სახელმწიფოს არ ვთხოვთ



იმ რისკებში შემოსვლას, რომლის კაპიტალში კონსორციუმი არის შესული. ეს არის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელსაც ბანკების სესხი ახორციელებს.

თუ პროექტს დარტყმა აქვს, ისევ და ისევ მთავარ კაპიტალზე და კონსორციუმზე ექნება. ყველანაირი შემოსავალი შემდეგ სესხის დაფარვას მოხმარდება და თუ რამე დარჩა, რომელიც არის მიზერული, ეს არის, როცა სახელმწიფოს დაზღვევა შეიძლება შემოვიდეს პროექტში.

მშენებლობა შეუფერხებლად ხორციელდება, რაც ასევე იმის დასტურია, რომ 2021 წელს აუცილებლად ეს პორტი იქნება და კითხვის ნიშნის გარეშე უნდა იყოს, რადგან ამ პორტმა ჩვენი ქვეყანა სხვა ნიშნულზე უნდა გადაიყვანოს, – აცხადებს ქეთი ბოჭორიშვილი.

bm.ge

## რომან კაკულია: „თიბისი ბანკი ვალდებული არ არის თავი იმართლოს"



თიბისი ბანკი ვალდებული არ არის თავი იმართლოს – ამის შესახებ განცხადება ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ გააკეთა. რომან კაკულია არ გამორიცხავს, საპარლამენტო უმრავლესობა ამ საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნის აუცილებლობის წინაშე დადგეს. მისი თქმით, ეს იმ შემთხვევაში გახდება საჭირო, თუ კანონმდებლები საგამოძიებო უწყებისგან არსებულ კითხვებზე პასუხებს გონივრულ ვადაში ვერ მიიღებენ.

– თიბისი ბანკი არ არის ვალდებული იმართლოს თავი. ეს იყო ჩვენი მთავარი მიღწევა. ჩვენ ვამბობდით, რომ შევცვალეთ სისტემა, როდესაც ადამიანები იყვნენ ვალდებული ემართლებინათ თავი და შევცვალეთ სისტემა იმ სისტემით, ყოველ შემთხვევაში, ასე არის დეკლარირებული, როდესაც ჩვენ მკაფიოდ ვაყალიბებთ, რაში ვდებთ მას ბრალს, – განაცხადა რომან კაკულიამ.

რაც შეეხება ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მიერ გუშინ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ შს მინისტრის გიორგი გახარიას მიერ გაგზავნილი მუქარის წერილი „თიბისი" ბანკის დამფუძნებელ მამუკა ხაზარაძეს ამავე ბანკის თანადამფუძნებელმა ბადრი ჯაფარიძემ მიუტანა, კაკულია ამ ეტაპზე ამას მხოლოდ რუსთავი 2 -ის ინფორმაციას უწოდებს, რომელსაც დადასტურება სჭირდება.

ეს კურიერის ვერსიაა. ამას პირდაპირ ვერ მივიღებთ მე მგონი, როგორც უტყუარ მტკიცებულებას. თუმცა ეს ვერსიაც თავისთავად საინტერესოა და განხილვას საჭიროებს და ჩვენ ადრე თუ გვიან მიგვიწევს ყველა შეკითხვაზე პასუხის მიღება. მე არ ვფიქრობ, რომ დღეს ეს გონივრული ვადა ამოწურულია, როდესაც ჩვენ უნდა მივიღოთ ეს პასუხები, მაგრამ ეს ვადაც ძალიან დიდხნიანიც ვერ იქნება ასეთი ძალიან გახმაურებული საქმის შემთხვევაში. მე მოვუწოდებ მათ, რომ გადადონ ყველა საქმე და ძალიან მალე იყოს ეს არგუმენტები, რის შემდეგაც შეიძლება დადგეს ნამდვილად საპარლამენტო კომისიის შექმნის აუცილებლობა და ჩვენც ვალდებულები ვიქნებით, მხარი დავუჭიროთ ამ ინიციატივას, – განაცხადა რომან კაკულიამ.

რუსთავი 2

## როგორ შეიძლება შეიზღუდოს ბანკების სადაზღვევო პროდუქტები?




სადაზღვევო სექტორმა პარლამენტს საბანკო და სადაზღვევო სექტორების გამიჯვნის თხოვნით უკვე მიმართა. ეს საკითხი მათ ეკონომიკის მინისტრთან შეხვედრაზეც განიხილეს.

სადაზღვევო ინდუსტრია აცხადებს, რომ ბანკების მიერ სადაზღვევო კომპანიების ფლობა და მათი მომხმარებლებისთვის საკუთარი სადაზღვევო კომპანიების პროდუქტების შეთავაზება ბაზარზე თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ზღუდავს, შესაბამისად, ისინი ბაზრის რეგულირებას ითხოვენ.

„ჯიპიაი ჰოლდინგის" კომუნიკაციების დირექტორი აცხადებს, რომ არსებობს სხვადასხვა ინიციატივა, რომელიც ბაზარზე თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას გააჩენს. ეს შეიძლება იყოს საკანონმდებლო ცვლილებები, სამთავრობო დადგენილება ან რეგულაცია, რომელსაც დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური გამოსცემს.

– ჩვენ ვიყენებთ დასავლურ საუკეთესო პრაქტიკას. ასევე გვაქვს მოსაზრებები, როგორ შეიძლება ეს მოვარგოთ ჩვენ რეალობას. ამ მხრივ აქვთ ჩვენგან ამომწურავი ინფორმაცია და არგუმენტები, რატომ და როგორ უნდა გაკეთდეს ეს. მოველით, რომ რეალური ნაბიჯები გადაიდგას, – აცხადებს თინა სტამბოლიშვილი.

მისი თქმით, სადაზღვევო სექტორის აზრს იზიარებს ზედამხედველობის სამსახურის ახალი ხელმძღვანელიც. მისი თქმით, დავით ონოფრიშვილმა თავადაც გამოთქვა ინიციატივა, რომ ამ საკითხზე აქტიურ მუშაობას დაიწყებს.

– მოველით რეგულირებას. ეს ეხება იმას, რომ არჩევანი არ შეეზღუდოს ადამიანს, როცა ბანკთან აქვს საქმე და მისგან ითხოვენ დაზღვევას.

არასაბანკო საფინანსო მომსახურება უნდა განვითარდეს და ამის გაკეთება შეუძლია მთავრობას, პარლამენტს და ხედამხედველობას , – აცხადებს თინა სტამბოლიშვილი.

bm.ge

## „ოცნება" ზუგდიდის მერობის კანდიდატზე ვერ თანხმდება

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ირაკლი ალასანიას ყოფილ თანაპარტიელს საგარეო საქმეთა მინისტრობა სურდა, მაგრამ შს მინისტრმა უთხრა, რომ ამ პოსტზე დავით ბაქრაძეა შერჩეული.

ჩიქოვანის კანდიდატურა გახარიამ ივანიშვილსაც შესთავაზა. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, „ოცნების" ლიდერმა ეს კანდიდატურა დაიწუნა. გადაწყდა, რომ მას ისევ მერის პოსტზე წარადგენდნენ.

ამან „ოცნებაში" გარკვეული უთანხმოება გამოიწვია. მმართველი პარტიის ნაწილი მხარს გეგა შენგელიას კანდიდატურას უჭერს. ეს უკანასკნელი ამჟამად მერის მოვალეობის შემსრულებელია.

ზუგდიდში მერის არჩევნების მოგება მმართველი პარტიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აქ ნაციონალებს მაღალი რეიტინგი აქვთ და ხელისუფლებას ეშინია, რომ მომხრეები არ დაკარგოს.

ირაკლი ჩიქოვანს ზუგდიდში კარგი სახელი აქვს და მომხრეებიც ჰყავს. ამიტომ მისი განაწყენება მმართველ პარტიას არ აწყობს.

როგორც „ოცნებასთან" დაახლოებული წყარო „ახალ თაობას" უყვება, ამ დღეებში ზუგდიდში ჩიქოვანთან სერიოზული მოლაპარაკებები წარიმართა.

კორცხელში მდებარე დედათა მონასტერში ჩიქოვანს შს მინისტრის მოადგილე ლევან კაკავა და ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე ესაუბრნენ. მეუფე გერასიმე და ალასანიას ყოფილი თანაპარტიელი ახლობლები არიან.

კაკავამ მიტროპოლიტი დაარწმუნა, რომ ამ ეტაპზე უკეთესი იქნება თუ მერობის კანდიდატი გეგა შენგელია იქნება. მეუფე გერასიმემ კი ჩიქოვანის დარწმუნება სცადა. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, მეუფე გერასიმე ჩიქოვანს დაჰპირდა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მას ზუგდიდის მაჟორიტარად დასახელებაში დაეხმარება. ამ არჩევნებზე კი მან გეგა შენგელიას საარჩევნო შტაბის უფროსის მოვალეობა უნდა შეასრულოს.

მეუფესთან შეხვედრას, რომელიც კონფიდენციალური იყო, ზუგდიდის საკრებულოს რამდენიმე წევრო და პარლამენტის ერთი დეპუტატიც ესწრებოდა. კორცხელის გასაიდუმლოებულ შეხვედრაზე მისმა მონაწილეებმა სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს. ერთ-ერთი მათგანი „ახალ თაობასაც" მიაწოდეს და მისი ნახვა თქვენც შეგიძლიათ.

# ჯარისკაც ქაზიმ გახრამანოვს სერჟანტების წინ სცემეს



თავდაცვის სამინისტრო კიდევ ერთ სკანდალში ეხვევა. ჯარისკაცი ირწმუნება, რომ მას სერჟანტების თანდასწრებით ფულს სძალავდნენ. მას შემდეგ კი, რაც თანხის მიცემაზე უარი განაცხადა, მას სასტიკად გაუსწორდნენ.

მეტიც, ახალგაზრდა ამბობს, რომ მისთვის 2 დღის განმავლობაში სამედიცინო დახმარება არ გაუწევიათ.

ახალგაზრდა მშობლებმა კრწანისის სასწავლო ცენტრიდან გუშინ, 11 მარტს, სახლში გადაიყვანეს.

დაშავებული აცხადებს, რომ ჯარისკაცებისთვის ფულის გამოძალვა ჩვეული პრაქტიკაა.

19 წლის ქაზიმ გახრამანოვი აღნიშნავს, რომ ის და მისი თანატოლები ერთ-ერთ ოთახში დაიბარეს, სადაც ფული მოსთხოვეს. ახალგაზრდის მტკიცებით, ფაქტს სერჟანტიც ესწრებოდა.

– პარასკევს, ღამის 2 საათზე დაგვიძახეს და ფული მოგვთხოვეს, ეს ყველაფერი სერჟანტ უნდილაძის თვალწინ ხდებოდა. ფულის მიცემაზე უარი ვთქვი და სასტიკად გამისწორდნენ, მცემეს. მეორე დღეს ექიმთან მივედი და არც კი უკითხავს, თვალი რატომ მქონდა ჩალურჯებული, – აცხადებს ქაზიმ გახრამანოვი.

მას კრწანისის სასწავლო ცენტრში კვლევები ჩაუტარდა, რადგან შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ექიმის თქმით, სრული დიაგნოზის დასმა მხოლოდ კვლევების სრულად ჩატარების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

– ნაჟღენთი აქვს პრეორბიტალური, თვალბუდის არეში, ჩივილები – მსუბუქი თავის ტკივილი და გულისრევის შეგრძნება. სავარაუდოდ, თავის ტვინის შერყევაც არ არის. კომპიუტერი გაუკეთდება, საბოლოო დიაგნოზი იქნება კვლევების შემდეგ, – ამბობს ექიმი.

საავადმყოფოში იმყოფებოდნენ ასევე თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებსაც ახალგაზრდის ოჯახის წევრებთან დაპირისპირება მოუხდათ.

ქაზიმ გახრამანოვის ძმა, ფუად გახრამანოვი ამბობს, რომ ოჯახს მისი ძმა დილით დაუკავშირდა, მისულებს კი ის ნაცემი დახვდათ.

– როდესაც მივიდა მამაჩემი, ჩემი ძმა სასტიკად ნაცემი დახვდა. მოუყვა, რომ უფროსმა ჯარისკაცებმა ერთ-ერთ ოთახში შეიყვანეს და ფული მოსთხოვეს, მერე ცემა დაუწყეს, ამას სერჟანტიც ესწრებოდა, იდგა და სეირს უყურებდა. ეს ამ სამხედრო ნაწილში უკვე მეორე შემთხვევაა, რატომ არ აქცევს არავინ ყურადღებას ამ უსამართლობას და ძალადობას, – ამბობს ფუად გახრამანოვი.

მომხდარზე გამოძიება უკვე დაწყებულია.

# კლოუნი პრინცი თუ ნამდვილი მემკვიდრე

## რატომ უჩივის ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი ყოფილ ქმარს





ნუგზარ და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკები დავით ბაგრატიონ მუხრანელის წინააღმდეგ – სასამართლოში ქართული სამეფო სახლის მემკვიდრეობისთვის დავა იწყება.

მოსარჩელე მხარე, ბაგრატიონ-გრუზინსკი, ყოფილ მეუღლეს სამეფო სახელის უნებართვოდ სარგებლობაში სდებს ბრალს. მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის კი სიმბოლურ თანხას – 1 ლარის გადახდას ითხოვს.

სამოქალაქო დავა სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს შორის ერთი წლის წინ დაიწყო, თუმცა მაშინ საქალაქო სასამართლომ სარჩელის განხილვაზე უარი განაცხადა. მოსარჩელე მხარემ ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, მეორე ინსტანციის სასამართლომ საქალაქო სასამართლოს ამ დავის განხილვა დაავალა.

საქმეს მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობა, სამი მოსამართლე განიხილავს. სხდომაზე სპეციალისტების სტატუსით მიწვეულნი იქნებიან ისტორიულ მეცნიერებათა აკადემიკოსები – როინ მეტრეველი და გიორგი ოთხმეზური.

ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი და დავით ბაგრატიონ მუხრანელი 2009 წლიდან 2016 წლამდე კანონიერ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. მათ ერთი შვილი – 6 წლის უფლისწული გიორგი ჰყავთ. სამართლებრივი დავა ყოფილ ცოლ-ქმარს შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც დავით ბაგრატიონ-მუხრანელმა საერთაშორისო საზოგადოებაში თავი საქართველოს სამეფო სახლის მემკვიდრედ წარმოაჩინა.

2017 წელს დავით ბაგრატიონ-მუხრანელმა დიდი ბრიტანეთის დედოფალს, ელიზაბეტ მეორეს ღირსების ორდენი გაუგზავნა, რასაც ბრიტანულ მედიაში სკანდალიც კი მოჰყვა. მსოფლიოში ცნობილმა ბრიტანულმა გამოცემამ დეილი მეილმა დავით ბაგრატიონ-გრუზინსკის „კლოუნი პრინცი“ უწოდა და აღნიშნა, რომ იგი საქართველოს სამეფო სახლის მემკვიდრის სახელით არაკეთილსინდისიერად სარგებლობდა, რადგან ღირსების ორდენის გადაცემისთვის კონკრეტულ თანხას ითხოვდა.

მოსარჩელეების ინტერესებს სასამართლოში იურიდიული კომპანია „სამართლის გზის“ ადვოკატი ლევან გორელაშვილი იცავს. როგორც „ამბებთან“ საუბარში გორელაშვილი განმარტავს, დავით ბაგრატიონ-მუხრანელი საერთაშორისო საზოგადოებაში სამეფო სახლის წარმომადგენლად თავს მხოლოდ იმ მიზნით ასაღებს, რომ ამით ფული იშოვოს.

– ის სინამდვილეში არ წარმოადგენს ბაგრატიონ-მუხრანელთა იმ შტოს, რომელიც მართავდა ქვეყანას. ამას ყველა ისტორიკოსი დაგიდასტურებთ. რაც შეეხება ჩვენს სარჩელს, ვითხოვთ, აღიკვეთოს სამეფო სახელის უნებართვოდ გამოყენება, ამ დავის თავისთავადობიდან გამომდინარე, კანონით ზუსტად ეს საკითხი არ არის დარეგულირებული, თუმცა სამოქალაქო კოდექსში არსებობს მე-17, მე-18, მე-19 მუხლები, რომლებიც კრძალავს სახელის უფლების გამოყენებას.

სახელის უფლების დარღვევაა მეორე ადამიანთან თავის გაიგივება, მართალია, დავით ბაგრატიონ-მუხრანელი არ ამბობს, რომ ის არის ანა ბაგრატიონი, მაგრამ მის სტატუსს იყენებს არაკეთილსინდისიერად.

ამაზე გაჩუმება იქნება უდიდესი დანაშაული როგორც საქართველოს მეფეების სულების წინაშე, რომელთა გარკვეული ნაწილი წმინდანებადაც არის შერაცხული, ისე პატარა უფლისწული გიორგის წინაშე. ჩვენ ვითხოვთ, სახელმწიფომ აღიაროს, რომ ის თვითმარქვიაა, ის სამეფო ოჯახის წევრიც არ არის, ყოფილი სიძეა და როგორ შეიძლება მან საქართველოს სამეფო სახლის სახელით ასე ისარგებლოს? ჯილდოები გასცეს? – აღნიშნა ლევან გორელაშვილმა.

მოპასუხე მხარის უფლებადამცველი ლევან ჩხეიძე დარწმუნებულია, რომ სასამართლო დავა მათ სასარგებლოდ გადაწყდება.

ადვოკატი მოსარჩელე მხარის სარჩელს უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

– მთავარი ნონსენსი ამ სარჩელის არის ის, რომ მოსარჩელე მხარე აცხადებს, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს არსად მათი სახელი არ გამოუყენებია. როგორც ვიცით, სახელი შედგება სახელისა და გვარისგან, ასე წერია კანონში. მათი სახელებია ანა და ნუგზარი და არა საქართველოს სამეფო სახლი. რაც შეეხება იმას, რომ ისინი ითხოვენ, აეკრძალოს ჩემს მარწმუნებელს სამეფო სახლის წარმომადგენლის სახელით სარგებლობა, ასეთი სტატუსი საქართველოში ამჟამად არსებული სახელმწიფოებრივი მოწყობის მიხედვით ოფიციალურად არც არსებობს.

1921 წლის კონსტიტუციამ გააუქმა ყოველგვარი არისტოკრატიული ტიტულები და თუ ვინმეს ჩვენ ვუწოდებთ, მაგალითად, ბატონიშვილს, ეს აღიარება არის კერძო და არა – სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი.

ეს სარჩელი ატარებს ფარულ მიზანს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფომ აღიაროს, რომ ისინი არიან სამეფო ოჯახის წევრები, თუნდაც სასამართლომ არ დააკმაყოფილოს მათი სარჩელი, მაგრამ სამოტივაციო ნაწილში სადღაც მიუთითოს, რომ ისინი მართლაც სამეფო ოჯახის მემკვიდრეები არიან, უკვე მოგებულები დარჩებიან. მოვუწოდეთ, გაიხმონ სარჩელი და შეწყვიტონ ეს სამარცხვინო დავა! – ამბობს ადვოკატი.

ლევან ჩხეიძის თქმით, გრუზინსკი არ არის სინამდვილეში პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკის შვილი, რადგან არ მოიპოვება ამის დამადასტურებელი დოკუმენტები. ადვოკატმა „ამბებს“ განუცხადა, რომ აღნიშნული ეჭვის გასაქარწყლებლად, მათ მოსარჩელე მხარეს შესთავაზეს, ჩაეტარებინათ დნმ-ის კვლევა, რომლის ღირებულებასაც თავად დააფინანსებდნენ, თუმცა, მისივე თქმით, ბაგრატიონ-გრუზინსკებმა ამაზე უარი განაცხადეს.

– გრუზინსკის არ აქვს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ის მართლაც იყო პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკის შვილი. ანუ ეს უკანასკნელი ისე გარდაიცვალა, რომ არ არსებობს სააქტო ჩანაწერი, რომ პეტრე პეტრეს ძე გრუზინსკი მისი შვილი იყო. დნმ-ის ანალიზის ჩატარებაზე უარს აცხადებენ იმიტომ, რომ ძალიან კარგად იციან, რომ ტესტი ნეგატიურ შედეგს აჩვენებს, – აღნიშნა ჩხეიძემ.

რაც შეეხება დეილი მეილის სტატიას დავით ბაგრატიონ-მუხრანელის შესახებ, როგორც მისმა უფლებადამცველმა აღნიშნა, ამ ბრიტანული გამოცემის რეპუტაცია საეჭვოა დიდ ბრიტანეთშიც კი და რომ გამოცემა თანამშრომლობს გრუზინსკებთან.

აკადემიკოსი გიორგი ოთხმეზური, რომელიც სასამართლო პროცესზე სპეციალისტის სტატუსითაა მიწვეული, ადასტურებს, რომ ქართული სამეფო გვარის ლეგიტიმური წარმომადგენლები ნუგზარ და ანა ბაგრატიონ გრუზინსკები არიან, ხოლო დავით ბაგრატიონ-მუხრანელი ამ სტატუსზე პრეტენზიას არ უნდა აცხადებდეს.

– დავით ბაგრატიონი მუხრანბატონთა შტოს წარმომადგენელია და იჩემებს, რომ არის წარმომადგენელი საქართველოს სამეფო სახლის და თავს აძლევს უფლებას, რომ რაღაც წოდებები გასცეს, რაც არასწორია.

ბაგრატიონთა ნამდვილი შთამომავლები არიან სწორედ გრუზინსკები და ნუგზარ ბაგრატიონი. ისინი არიან გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მერვის პირდაპირი შთამომავლები.

მუხრანბატონებს რაც შეეხება, ისინი მართლაც იყვნენ ქვეყნის სათავეში საკმაოდ დიდხანს – 70 წლის განმავლობაში მართავდნენ ქართლის სამეფოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცოტა ღრმად თუ მიმოვიხილავთ, მუხრანბატონი იშვილა როსტომ ხანმა, თვითონ როსტომ ხანი იყო სიმონ მეფის ძმის, დაუთ ხანის უკანონო შვილი და შესაბამისად იურიდიულად და ისტორიულად, მათ წესით ტახტი არ ეკუთვნოდათ, – აღნიშნავს გიორგი ოთხმეზური.

ისტორიულად საქართველოში ბაგრატიონთა სამი შტო არსებობს – კახელი ბაგრატიონები, იმერელი, ღვანკითელი ბაგრატიონები და რუსეთში გადასახლებული ბაგრატიონ გრუზინსკები.

ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი რეჟისორ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის უფროსი ქალიშვილი და ცნობილი პოეტის – პეტრე გრუზინსკის შვილიშვილია. ის უკანასკნელი ქართველი მეფის – გიორგი XII-ის შთამომავალია.

დავითი და ანა, ბაგრატიონთა ორი სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები არიან. დავით ბაგრატიონ-მუხრანელი ესპანეთში დაიბადა და გაიზარდა.

იგი საქართველოში 2003 წელს ჩამოვიდა და ჩვენი ქვეყნის მოქალაქე გახდა.

# მირზა სუბელიანი საპატიმროს 4 თვეში დატოვებს



ათვლა დაწყებულია, გლდანის ციხის ყველაზე პრივილეგირებული პატიმარი დაწესებულებას მაქსიმუმ ოთხ თვეში დატოვებს.

პროკურატურის ყოფილ თანამშრომელ მირზა სუბელიანს მისივე უწყება მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობაში სდებდა ბრალს, თუმცა მოსამართლე ლელა ნოზაძემ გადაწყვიტა, რომ სუბელიანი სხვა ქმედების ჩადენის გამოა დამნაშავე.

მოსამართლის მიერ, სუბელიანისთვის გამოტანილი განაჩენით, პრაქტიკულად დადასტურდა, ციხეში გაკეთებული იმ სკანდალური ჩანაწერების ნამდვილობა, რომელიც სუბელიანის დაკავებიდან რამდენიმე თვეში გასაჯაროვდა.

აუდიო ფაილში მირზა სუბელიანისა და მასთან ციხეში ვიზიტად მყოფ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატის, ვიქტორ ჯაფარიძის დიალოგი იყო ჩაწერილი. ჩანაწერით ირკვეოდა, რომ მირზა სუბელიანს „ოცნების“ მთავრობის მაღალ ეშელონებში მყოფი პირებისგან დაპირება იმის თაობაზე, რომ ციხეში ერთ წელზე მეტს არ გაატარებდა, ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე ჰქონდა მიღებული. შეთანხმება შესრულებულია, უკანასკნელი პერიოდის ყველაზე გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი მალე თავისუფალი იქნება.

მირზა სუბელიანის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენი, „ქართული ოცნების“ ოპონენტებისთვის, მმართველი პარტიის სისუსტის მაჩვენებელია.

მურთაზ ზოდელავა სწორედ მირზა სუბელიანის მიერ მთავრობისთვის წაყენებულ ერთ-ერთ მოთხოვნას უკავშირებს მათი აქტიური თანაპარტიელის, ზვიად კუპრავას დაპატიმრების ფაქტს.

სასამართლოს უპატივცემულობისთვის ზვიად კუპრავას აღმკვეთი ღონისძიების სახედ გირაო ჰქონდა შეფარდებული, რომელიც პატიმრობად მისთვის კიდევ ერთი ბრალის წარდგენის შემდეგ შეიცვალა.

კუპრავა ძალადობაში ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა დაადანაშაულა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

2019, 12 მარტი, №59

# საჰაერო პანიკა გრძელდება

უკვე რამდენიმე დღეა, მსოფლიოს სამგზავრო ავიაციაში სერიოზული პრობლემები იჩენს თავს.

10 მარტს ეთიოპიაში ბოინგ 737-ის ჩამოვარდნას 159 მგზავრის და ეკიპაჟის 8 წევრის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ამის გამო 11 მარტიდან ჩინეთმა „ბოინგ 737 მაქს-8“-ის ყველა ავიარეისი გააუქმა.

10 მარტს კოლუმბიაში თვითმფრინავის ჩამოვარდნას 14 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

10 მარტს ნამდვილად გაუმართლათ სტამბული-ნიუ იორკის მგზავრებს — რეისი ნიუ-იორკთან ტურბულენტურ ზონაში მოხვდა, რის გამოც 30 მგზავრი დაშავდა.

## ბაჰრეინი-მოსკოვის რეისი ბაქოს აეროპორტში საგანგებოდ დაჯდა



გუშინ 11 მარტს კი „ურალ ეირლაინზის“ თვითმფრინავი, რომელიც ბაჰრეინიდან მოსკოვის მიმართულებით რეისს ახორციელებდა, ბაქოს აეროპორტში საგანგებოდ დაეშვა.

როგორც რუსული მედია იუწყება, საგანგებო დაშვების მიზეზი თვითმფრინავის ბორტზე ასაფეთქებელი მოწყობილობის შესახებ ინფორმაცია გახდა.

„ეკიპაჟმა ინფორმაცია მიიღო თვითმფრინავის ბორტზე უცხო საგნის შესაძლო არსებობის შესახებ. ეკიპაჟმა უახლოეს აეროპორტში, ბაქოს აეროპორტში დაშვება მოითხოვა თვითმფრინავის დამატებითი შემოწმებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით“, — ნათქვამია ავიაკომპანიის განცხადებაში.



# ტრამპი მექსიკასთან კედლის ასაშენებლად დამატებით სახსრებს ითხოვს

აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ მექსიკასთან კედელი აუცილებლად აშენდება. პრეზიდენტმა საამისოდ დამატებითი სახსრები მოითხოვა.

— კიდევ 8,6 მილიარდი დოლარი მჭირდება, — ამბობს ტრამპი.

კედლის მშენებლობას დემოკრატიული პარტია ეწინააღმდეგება, რადგან ამას არასწორად მიიჩნევს.

# კიმ ჩენ ინის ძმის მკვლელობაში ეჭვმიტანილი სასამართლომ გაათავისუფლა

მალაიზიის სასამართლომ გაათავისუფლა ამ ქვეყნის მოქალაქე იტი აისია, რომელსაც კიმ ჩენ ინის ძმის მკვლელობაში ედებოდა ბრალი.

კიმ ჩენ ინის ძმა, კიმ ჩენ იმი, მალაიზიის აეროპორტში მოკლეს. მას სახეზე ცხვირსახოცი ააფარეს, რომელზეც ძლიერმოქმედი შხამი ესხა. კიმ ჩენ იმი მყისვე გარდაიცვალა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქალები, ვიეტნამის მოქალაქე ჰუონგი და მალაიზიელი იტი აისია, უმალ დააკავეს.

სასამართლოზე ქალებმა განაცხადეს, რომ ისინი მოატყუეს. მათ უთხრეს, რომ „რეალითი შოუში“ მონაწილეობდნენ და კარგადაც გადაუხადეს.

— წარმოდგენაც არ გვქონდა, სინამდვილეში რასაც ვაკეთებდით, — თქვა იტი აისიამ.






# საპროტესტო აქცია მოსკოვში

რუსეთის დედაქალაქში საპროტესტო აქცია გაიმართა. მისი მონაწილენი ინტერნეტის თავისუფლებას იცავდნენ.

— რუსეთი არც ირანია, არც ჩრდილოეთ კორეა! მოვითხოვთ ინტერნეტის თავისუფლებას! — სკანდირებდნენ მომიტინგენი.

მსვლელობაში 15.000-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ აქცია ნებადართული იყო, პოლიციამ მისი 13 მონაწილე დააკავა. მათ შორის რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი ანდრეი კისელიოვიც აღმოჩნდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მაფიოზებმა მამაკაცი ქურდობისთვის ცოცხლად ჩააბეტონეს

64 წლის ქალბატონმა სიცილიური მაფიის წევრები დაიქირავა თავისი ყოფილი საყვარლისთვის, რომელმაც მას ძვირფასეულობა მოპარა, ანგარიშის გასასწორებლად. მაფიოზებმა მამაკაცი ვილა სენაგოში ბეტონის ბოძში ცოცხლად ჩააბეტონეს.

სიცილიური მაფიის მსხვერპლი 41 წლის ალბანელი ლამაი ასტრიდი გახდა, რომელიც 2013 წელს უგზო-უკვალოდ გაუჩინარდა. მისი ცხედარი პროვინცია კალტანისეტაში მაფიასთან ბრძოლის ფარგლებში მიმდინარე გამოძიების დროს იქნა აღმოჩენილი. ასტრიდის მკვლელობისა და მისი ცხედრის დამალვის ბრალდებით ოთხი დაქირავებული მკვლელი იქნა დაკავებული, რომლებიც გავლენიან მაფიოზურ ოჯახს ეკუთვნიან რიეზიდან (კომუნა იტალიაში). როდესაც დაღუპულის ყოფილმა საყვარელმა მისი ცხედრის პოვნის შესახებ შეიტყო, შეეცადა ქვეყანა გენიუს აეროპორტიდან დაეტოვებინა. გამოძიების ვერსიით, ქალმა გადაწყვიტა შური ეძია ალბანელზე, რომელმაც ძვირფასეულობა მოპარა და მიატოვა. ამისთვის მან რიეზეს მაფიასთან საკუთარი კონტაქტებით ისარგებლა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი პოლიციის უფროსი ავრცელებს. მამაკაცის ცხედარი მისი ტანსაცმლის ნაწილებით ამოიცნეს, რომელიც ბეტონის ბოძიდან ამოიღეს.



# ზოოპარკში იაგუარი სელფის მოყვარულს თავს დაესხა



ამერიკის არკანზასის შტატში ზოოპარკში იაგუარი თავს დაესხა დამთვალიერებელს, რომელმაც გადაწყვიტა, მის ვოლიერთან სელფი უსაფრთხოების წესების უგულებელყოფით გადაეღო. ინციდენტი 9 მარტს მოხდა. ქალმა გადალახა საგანგებოდ აღმართული წინაღობა, ვოლიერთან მივიდა და შეეცადა მტაცებელთან სურათი გადაეღო. თუმცა იაგუარი ქალს ღობის მეორე მხრიდან თავს დაესხა, რის შედეგადაც დამთვალიერებელს ხელზე ღრმა ჭრილობები მიაყენა.

ზოოპარკის დირექტორის მიკი ოლსონის თქმით, შეუძლებელია იმ ადამიანების გამოსწორება, რომლებიც არაფრად აგდებენ საგანგებოდ აღმართულ დამცავ წინაღობებს. ეს იაგუარი ადრეც დასხმია თავს დამთვალიერებელს, რომელიც ასევე ახლოს მივიდა მის ვოლიერთან. ბოლო ინციდენტი ადამიანის შეცდომამ განაპირობა და ამიტომ ცხოველის დაძინებას არ აპირებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

### სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლიზმის პრობლემების მოშორება მცენარეული, უვნებელი პროდუქციით (თუნდაც საკვებში შერევით ფარულად), ფსიქოლოგიური, ლოცვითი და მცენარეული (ნაკურთხი) თერაპიით სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მართვა-მკურნალობა (კუჭ-ნაწლავის, ნერვული და სხვა დაავადებები). ტელ: 599-45-66-88. ფსიქოლოგი, თერაპევტი ნინო ექიმი.

● მონასტრის ბერის მიერ მოწოდებული რეცეპტებით მცენარეული, არომატული და საკმევლის ზეთზე დამზადებული მალამოებით კანის პრობლემების მკურნალობა, ფსორიაზი, აკნე, ტროპიკული წყლული, ნეიროდერმიტი და სხვა, აგრეთვე კოსმეტიკური სამკურნალო სახის კანის მალამოები (ნაოჭების, მკვებავი და სხვა). ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● მკურნალობამამაკაცებისათვის:პროსტატიტი,ადენომა,ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საქართველოს ნაკრები რაგბიში ევროპის ჩემპიონი ვადამდე გახდა

საქართველო-ბელგია 52:3

ბორჯღალოსნებმა 2019 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატი მის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე მოიგეს. მილტონ ჰეიგის შეგირდებმა მეოთხე რაუნდში გერმანიას ბონუსით, 52:3 სძლიეს და მდევრებისთვის მიუწვდომელი გახდნენ.

ჩვენი გუნდისთვის ეს ტურნირის არსებობის ისტორიაში მე-11 ტიტულია მერვე უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში. თუმცა წინ კიდევ ერთი თამაშია, 17 მარტს კრასნოდარში რუსეთთან და ბორჯღალოსნები მე-8 სლემის (ყველა თამაშის მოგება) შესრულებას ეცდებიან.

ქუთაისში, მატჩის დღეს საქართველოს რაგბის ეროვნული აკადემიის დასავლეთის ფილიალს ქართული რაგბის ღვაწლმოსილი მორაგბისა და მწვრთნელის, დუგლას კავთელაშვილის სახელი მიენიჭა, რომელიც 72 წლის ასაკში ამა წლის თებერვალში გარდაიცვალა. მატჩის დაწყებამდე ქუთაისური რაგბის ერთ-ერთი ფუძემდებლის ხსოვნას, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მორაგბეებმა და გულშემატკივრებმა.

ნიშანდობლივია, რომ თამაშის დღე ქუთაისში მზიანი გამოდგა და მაღალი დონის, საერთაშორისო შეხვედრებს დანატრებულმა ქომაგებმა ტრიბუნები სრულად შეავსო. ბილეთები სრულად ჯერ კიდევ წინა დღეს გაიყიდა და გულშემატკივარმა გულმხურვალედ უქომაგა ბორჯღალოსნებს, რომელთაც თავის მხრივ მადლობა ლაღი და ლამაზი თამაშით გადაიხადეს.

საგულისხმოა, რომ მოედანზე მრავლად იყვნენ ქუთაისის აიას აღზრდილი მორაგბეები და მათ განსაკუთრებით კარგად ითამაშეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მირიან მოდებაძე, რომელმაც 3 ლელო გაიტანა და მატჩის საუკეთესო მორაგბედ დასახელდა. მოდებაძე მერვე ბორჯღალოსანია, რომელმაც ერთ მატჩში 3 ლელოს გატანა მოახერხა. აქამდე ეს მამუკა გორგოძემ (სამჯერ), არჩილ ქავთარაშვილმა, პალიკო ჯიმშელაძემ, მახო ურჯუკაშვილმა, დავით დადუნაშვილმა, ზურაბ ჟვანიამ და გიორგი კვესელაძემ შეძლეს.



მშობლიურ ქალაქში ასევე კარგი თამაში ჰქონდა ოთარ გიორგაძეს, რომელმაც გერმანელთა დაცვა არაერთხელ აიკლო და მეტოქეს უზარმაზარი, გადაუჭრელი პრობლემები შეუქმნა. ქუთაისელი ან ქუთაისური რაგბის სკოლის აღზრდილები არიან გიორგი ნემსაძე, თედო აბჟანდაძე, ზურაბ ჟვანია, ბექა გიგაშვილი და თორნიკე მატარაძე, რომლებმაც გერმანელებთან გამარჯვებაში საკუთარი წვლილი შეიტანეს.

ბორჯღალოსნებმა მეტოქეს თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს და 5 წუთში 2 ლელო გაიტანეს. ხელდახელ შეტევებით პრაქტიკულად ყველა ჯერზე იჭრებოდა ხაზი და სტუმრები გადაწყობას ვერ ასწრებდნენ. პირველ წუთზე მარჯვენა ფრთაზე ჯერ გიორგი ცუცქირიძე გაიქცა, 2 ფაზის შემდეგ მოდებაძემ ანგარიში გახსნა.

განახლდა თუ არა შეხვედრა, ბურთი სწრაფად უკვე მარცხენა ფრთაზე ჩათამაშდა, სოსო მათიაშვილმა ის ფეხით ლელოში შეაცურა, ლაშა ხმალაძე მიყვა და მეორე ლელო გაიტანა, ხოლო გელა აფრასიძემ ორივე გარდასახა – 14:0. სტუმრებმა ჯარიმით მალევე შეხვედრის ერთადერთი 3 ქულა აიღეს, მერე კი ბორჯღალოსნები მეტოქის ნახევარზე დაბრუნდნენ, 22-ე წუთზე 5-მეტრიანი დერეფნიდან მოლი ააგორეს და შალვა მამუკაშვილმა მესამე ლელო გაიტანა, ხოლო აფრასიძემ ესეც გარდასახა.

აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ გერმანელებმა შეძლეს ჩვენს ნახევარზე დამკვიდრება და დიდი დრო 22-ში, 5-მეტრიან წყვეტილთან გაატარეს. მათი შეტევების ჯარიმების ხარჯზე მოგერიების გამო, ზურაბ ჟვანიას მოედნის 10 წუთით დატოვებაც მოუწია, თუმცა მასპინძლებმა ამ გამოწვევას ღირსეულად გაუძლეს და გაწითლებულ დროზე მეოთხე ლელოც უნდა გასულიყო, მაგრამ ბექა სალინაძეს პირველ სანაკრებო ლელომდე სანტიმეტრი დააკლდა.

შესვენების შემდეგ ბორჯღალოსნებს ინიციატივა აღარ დაუთმიათ და კიდევ 5 ლელო გაიტანეს. პირველ ჯერზე ლაშა მალაღურაძემ, რომელმაც დღეს 90-ე კეპი მოიხვეჭა, პასი სისწრაფეში, კარის წინ 10-12 მეტრში მიიღო და ხაზი გაარღვია. მალაღურაძემ 2015 წლის მსოფლიო თასზე, ნამიბიასთან გატანილი ლელოს შემდეგ თავი პირველად გამოიჩინა და მიზანს ამჯერადაც იმ სტილში უწია.

მერე მოდებაძის ჯერი დადგა, რომელმაც ჯერ გიორგაძის გარღვევის შემდეგ მიიღო ფრთაზე გადაცემა და 3 მცველს ცრუმოძრაობებით გასცდა, ხოლო ტაიმის შუაში კვლავ ოთიას გარღვევის შემდეგ, მალაღურაძის პასი მაღალ სიჩქარეში აიღო და ველარავინ დაეწია. აფრასიძემ 2 ლელო გარდასახა, ბოლოს კი, ძელს გაარტყა ბურთი – 40:3.

მატჩის განახლებისთანავე ფრთაზე ცუცქირიძემ გაინავარდა და დაახლოებით 40-50 მეტრი ირბინა, საქმეში მერაბ შარიქაძე ჩაერთო და შეცვლაზე იმ წუთის შესულ ვასილ ლობჟანიძეს ლელო გაატანინა, ხოლო გარდასახვა ამჯერად სოსო მათიაშვილმა შეასრულა. სულ ბოლოს ჩვენი 22-იდან შეტევა ბურჯებმა წამოიწყეს, ლევან ჩილაჩავამ და გიორგი მელიქიძემ ტანკებივით იარეს, დავით კაჭარავამ ხაზი გაჭრა და გუნდის კაპიტანმა შარიქაძემ საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 52:3.

მერაბ შარიქაძე: საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

– ჩემპიონები გავხდით, მაგრამ ეს არაფერს ცვლის, რადგან წინ რუსეთთან მატჩია და მასთან გამარჯვება ძალიან ბევრს ნიშნავს.

მილტონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

– როდესაც ვნახეთ, რომ რუსეთმა რუმინეთთან წააგო და ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე ჩემპიონობის დაბევების შანსი გაგვიჩნდა, ამაზე ფიქრი დავიწყეთ და საბოლოოდ ასეც მოხდა. კარგი თამაში მოვიგეთ, მაგრამ სტატისტიკას რომ გადავხედოთ, ბურთის ფლობა და ტერიტორია ორივე ტაიმში 50-50% გვქონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც მომენტებში ყველაფერს კარგად ვერ ვაკეთებდით, თუმცა იყო შესანიშნავი მომენტები და ლამაზი ლელოებიც გავიტანეთ.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# შერმადინი ესპანეთში საუკეთესოა, ცინცაძე და ბერიშვილი ჩემპიონები გახდნენ

უნიკახას ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი ლიგა ენდესამ თებერვლის თვის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა.

ქართველმა კალათბურთელმა გასულ თვეში ჩატარებულ ყველა შეხვედრაში გაიმარჯვა და მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი საშუალოდ 27 იყო.

შერმადინმა აღნიშნული ჯილდო კარიერაში მეოთხედ მოიპოვა. 2017 წელს მან საუკეთესო მოთამაშის პრიზი სამჯერ მიიღო – იანვარში, მარტსა და მაისში. ქართველი ცენტრი იმ დროს ანდორას ღირსებას იცავდა.

დაჯილდოება თამაშის დაწყებამდე მოედანზე გაიმართა. ლიგის წარმომადგენლებმა გიორგის ჯილდო პირადად გადასცეს და წარმატება მიულოცეს.

ესპანეთის საკალათბურთო პირველობის 22-ე ტურში კი, შერმადინის გუნდმა საკუთარ მოედანზე ბექა ბურჯანაძის გიპუსკოა მიიღო და მეტოქე ანგარიშით 87:69 დაამარცხა.

შერმადინმა მოედანზე 16 წუთი დაჰყო და 15 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. რაც შეეხება ბექა ბურჯანაძის სტატისტიკას: გიპუსკოას ქართველ ფორვარდს ორმაგ დუბლამდე




სულ ცოტა დააკლდა – 27 წუთში 11 ქულა, 9 მოხსნა და 1 პასი.

22 ტურის შემდეგ უნიკახას 28 ქულით სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილი უკავია, გიპუსკოას მდგომარეობა კი უიმედოა – გუნდი

გაგრძელება მე-10 გვერდზე





ჩვენს საყვარელ მიშა ქორქოლიანს
ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
ბედნიერებას, სიხარულს,
სიყვარულს, წარმატებებს.
ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს.
„ახალი თაობა“


## შედეგები

### 10 მარტი

#### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-ბარნლი ..................... 4:2
ჩელსი-ვულვზი ..................... 1:1
არსენალი-მანჩესტერი ..................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 30 | 24 | 2 | 4 | 79-21 | 74 |
| 2.ლივერპული | 30 | 22 | 7 | 1 | 68-17 | 73 |
| 3.ტოტენჰემი | 30 | 20 | 1 | 9 | 57-32 | 61 |
| 4.არსენალი | 30 | 18 | 6 | 6 | 63-39 | 60 |
| 5.მანჩესტერი | 30 | 17 | 7 | 6 | 58-40 | 58 |
| 6.ჩელსი | 29 | 17 | 6 | 6 | 50-31 | 57 |
| 7.ვულვზი | 30 | 12 | 8 | 10 | 38-36 | 44 |
| 8.უოტფორდი | 30 | 12 | 7 | 11 | 42-44 | 43 |
| 9.ვესტ ჰემი | 30 | 11 | 6 | 13 | 37-43 | 39 |
| 10.ლესტერი | 30 | 11 | 5 | 14 | 38-42 | 38 |
| 11.ევერტონი | 30 | 10 | 7 | 13 | 41-42 | 37 |
| 12.ბორნმუთი | 30 | 11 | 4 | 15 | 41-54 | 37 |
| 13.ნიუკასლი | 30 | 9 | 7 | 14 | 29-38 | 34 |
| 14.კრ.პალასი | 30 | 9 | 6 | 15 | 36-41 | 33 |
| 15.ბრაიტონი | 29 | 9 | 6 | 14 | 32-42 | 33 |
| 16.საუთჰემპტონი | 30 | 7 | 9 | 14 | 34-50 | 30 |
| 17.ბარნლი | 30 | 8 | 6 | 16 | 34-57 | 30 |
| 18.კარდიფი | 30 | 8 | 4 | 18 | 27-57 | 28 |
| 19.ფულემი | 30 | 4 | 5 | 21 | 28-68 | 17 |
| 20.ჰადერსფილდი | 30 | 3 | 5 | 22 | 15-53 | 14 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-ასტონ ვილა ..................... 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-ბეტისი ..................... 0:1
ხირონა-ვალენსია ..................... 2:3
ლევანტე-ვილიარეალი ..................... 0:2
სევილია-სოსიედადი ..................... 5:2
ვალიადოლიდი-რეალი ..................... 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 27 | 19 | 6 | 2 | 69-26 | 63 |
| 2.ატლეტიკო | 27 | 16 | 8 | 3 | 39-17 | 56 |
| 3.რეალი | 27 | 16 | 3 | 8 | 47-32 | 51 |
| 4.ხეტაფე | 27 | 12 | 9 | 6 | 36-24 | 45 |
| 5.სევილია | 27 | 11 | 7 | 9 | 46-34 | 40 |
| 6.ალავესი | 27 | 11 | 8 | 8 | 28-30 | 40 |
| 7.ვალენსია | 27 | 8 | 15 | 4 | 30-22 | 39 |
| 8.ბეტისი | 27 | 11 | 6 | 10 | 31-32 | 39 |
| 9.სოსიედადი | 27 | 9 | 8 | 10 | 32-32 | 35 |
| 10.ეიბარი | 27 | 8 | 11 | 8 | 35-36 | 35 |
| 11.ლეგანესი | 27 | 8 | 9 | 10 | 27-32 | 33 |
| 12.ესპანიოლი | 27 | 9 | 7 | 11 | 32-40 | 34 |
| 13.ბილბაო | 27 | 7 | 13 | 7 | 26-31 | 34 |
| 14.ხირონა | 27 | 7 | 10 | 10 | 29-37 | 31 |
| 15.ლევანტე | 27 | 8 | 6 | 13 | 37-48 | 30 |
| 16.ვილიარეალი | 27 | 5 | 11 | 11 | 29-35 | 26 |
| 17.ვალიადოლიდი | 27 | 6 | 8 | 13 | 21-38 | 26 |
| 18.სელტა | 27 | 6 | 7 | 14 | 36-45 | 25 |
| 19.რაიო | 27 | 6 | 5 | 16 | 29-48 | 23 |
| 20.უესკა | 27 | 5 | 7 | 15 | 27-44 | 22 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მაჰადაონდა-ალკორკონი ..................... 2:0
ესტრემადურა-კორდობა ..................... 3:0
გრანადა-სარაგოსა ..................... 1:0
ტენერიფე-ნუმანსია ..................... 1:1
დეპორტივო-ლას პალმასი ..................... 0:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰოფენჰაიმი-ნიურნბერგი ..................... 2:1
ჰანოვერი-ლევერკუზენი ..................... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 25 | 18 | 3 | 4 | 62-27 | 57 |
| 2.დორტმუნდი | 25 | 17 | 6 | 2 | 61-28 | 57 |
| 3.ლაიპციგი | 25 | 13 | 7 | 5 | 43-20 | 46 |
| 4.გლადბახი | 25 | 14 | 4 | 7 | 44-30 | 46 |
| 5.ლევერკუზენი | 25 | 13 | 3 | 9 | 46-37 | 42 |
| 6.აინტრახტი | 24 | 11 | 7 | 6 | 47-30 | 40 |
| 7.ვოლფსბურგი | 25 | 11 | 6 | 8 | 39-37 | 39 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 25 | 9 | 10 | 6 | 49-37 | 37 |
| 9.ვერდერი | 25 | 9 | 9 | 7 | 43-37 | 36 |
| 10.ჰერტა | 25 | 9 | 8 | 8 | 38-36 | 35 |
| 11.ფორტუნა | 24 | 9 | 4 | 11 | 31-42 | 31 |
| 12.მაინცი | 25 | 8 | 6 | 11 | 27-39 | 30 |
| 13.ფრაიბურგი | 25 | 7 | 9 | 9 | 36-41 | 30 |
| 14.შალკე | 25 | 6 | 5 | 14 | 27-43 | 23 |
| 15.აუგსბურგი | 25 | 5 | 7 | 13 | 34-46 | 22 |
| 16.შტუტგარტი | 25 | 5 | 4 | 16 | 25-55 | 19 |
| 17.ჰანოვერი | 25 | 3 | 5 | 17 | 23-58 | 14 |
| 18.ნიურნბერგი | 25 | 2 | 7 | 16 | 19-51 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

მაგდებურგი-ზანდჰაუზენი ..................... 0:1
ზ.პაული-ჰამბურგი ..................... 0:4

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-კალიარი ..................... 2:0
ინტერი-სპალი ..................... 2:0
სამპდორია-ატალანტა ..................... 1:2
ფროზინონე-ტორინო ..................... 1:2
სასუოლო-ნაპოლი ..................... 1:1
ფიორენტინა-ლაციო ..................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 27 | 24 | 3 | 0 | 59-17 | 75 |
| 2.ნაპოლი | 27 | 17 | 6 | 4 | 48-21 | 57 |
| 3.მილანი | 27 | 14 | 9 | 4 | 41-23 | 51 |
| 4.ინტერი | 27 | 15 | 5 | 7 | 40-22 | 50 |
| 5.ატალანტა | 27 | 13 | 5 | 9 | 56-38 | 44 |
| 6.რომა | 26 | 12 | 8 | 6 | 49-36 | 44 |
| 7.ტორინო | 27 | 11 | 11 | 5 | 35-23 | 44 |
| 8.ლაციო | 26 | 12 | 6 | 8 | 37-28 | 42 |
| 9.სამპდორია | 27 | 11 | 6 | 10 | 44-35 | 39 |
| 10.ფიორენტინა | 27 | 8 | 13 | 6 | 42-33 | 37 |
| 11.პარმა | 27 | 9 | 6 | 12 | 29-40 | 33 |
| 12.სასუოლო | 27 | 7 | 11 | 9 | 36-42 | 32 |
| 13.ჯენოა | 27 | 7 | 9 | 11 | 32-42 | 30 |
| 14.კალიარი | 27 | 6 | 9 | 12 | 23-39 | 27 |
| 15.უდინეზე | 26 | 6 | 7 | 13 | 22-36 | 25 |
| 16.სპალი | 27 | 5 | 8 | 14 | 23-41 | 23 |
| 17.ემპოლი | 26 | 5 | 7 | 14 | 33-51 | 22 |
| 18.ბოლონია | 27 | 4 | 9 | 14 | 22-40 | 21 |
| 19.ფროზინონე | 27 | 3 | 8 | 16 | 20-51 | 17 |
| 20.კიევო | 27 | 1 | 10 | 16 | 20-53 | 10 |

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ლივორნო ..................... 1:1
კრემონეზე-ბენევენტო ..................... 1:0
სალერნიტანა-კროტონე ..................... 0:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონპელიე-ანჟი ..................... 2:2
სტ.ეტიენი-ლილი ..................... 0:1
ტულუზა-გენგამი ..................... 1:0
რენი-კაენი ..................... 3:1
მარსელი-ნიცა ..................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 23 | 2 | 1 | 79-15 | 71 |
| 2.ლილი | 28 | 17 | 6 | 5 | 45-23 | 57 |
| 3.ლიონი | 28 | 14 | 8 | 6 | 47-33 | 50 |
| 4.მარსელი | 28 | 14 | 5 | 9 | 44-35 | 47 |
| 5.სტ.ეტიენი | 28 | 12 | 7 | 9 | 36-34 | 43 |
| 6.რეიმსი | 28 | 10 | 13 | 5 | 30-27 | 43 |
| 7.რენი | 27 | 11 | 7 | 9 | 38-35 | 40 |
| 8.ნიცა | 28 | 11 | 7 | 10 | 20-28 | 40 |
| 9.მონპელიე | 27 | 9 | 12 | 6 | 36-30 | 39 |
| 10.სტრასბური | 28 | 9 | 11 | 8 | 43-33 | 38 |
| 11.ნიმი | 27 | 10 | 6 | 11 | 38-40 | 36 |
| 12.ანჟე | 28 | 8 | 11 | 9 | 33-33 | 35 |
| 13.ბორდო | 27 | 8 | 9 | 10 | 26-28 | 33 |
| 14.ნანტი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-34 | 31 |
| 15.ტულუზა | 28 | 7 | 10 | 11 | 27-42 | 31 |
| 16.ამიენი | 28 | 8 | 4 | 16 | 24-43 | 28 |
| 17.მონაკო | 28 | 6 | 9 | 13 | 29-44 | 27 |
| 18.დიჟონი | 27 | 5 | 6 | 16 | 21-41 | 21 |
| 19.კაენი | 28 | 3 | 11 | 14 | 23-39 | 20 |
| 20.გენგამი | 28 | 4 | 7 | 17 | 18-51 | 19 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ზვოლე-ალკმაარი ..................... 0:0
ვიტესი-ფეინოორდი ..................... 1:1
ემენი-ერაკლესი ..................... 1:1
აიაქსი-სიტარდი ..................... 4:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

პორტიმორენშე-ნასიონალი ..................... 5:1
სანტა კლარა-ავიში ..................... 0:0
სეტუბალი-ტონდელა ..................... 0:0
ფეირენშე-პორტუ ..................... 1:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

როსტოვი-არსენალი ..................... 0:0
ზენიტი-უფა ..................... 2:1
დინამო-სპარტაკი ..................... 0:1
ანჟი-ლოკომოტივი ..................... 0:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-ბაზელი ..................... 1:1
ლუცერნი-სტ.გალენი ..................... 3:0
თუნი-ციურიხი ..................... 2:2

**ავსტრია.ბუნდესლიგა**

ადმირა-სტ.პოლენი ..................... 3:2
აუსტრია-ალტახი ..................... 1:3
ლინცერი-ინსბრუკი ..................... 2:0
მატერსბურგი-რაპიდი ..................... 2:1
ზალცბურგი-შტურმი ..................... 0:0
ჰარტბერგი-ვოლფსბერგერი ..................... 1:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-კორტრაიკი ..................... 2:0
ანტვერპენი-შარლერუა ..................... 1:2
ბევერენი-ვარეგემი ..................... 1:1
გენკი-ლოკერენი ..................... 1:0
გენტი-ოსტენდე ..................... 2:1
მუსკრონი-სტ.ტრუიდენი ..................... 1:1
სერკლი-სტანდარდი ..................... 1:2
ეუპენი-ბრიუგე ..................... 0:4

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-ლევადიაკოსი ..................... 2:0
აპოლონი-ოფი ..................... 0:0
პაოკი-ატრომიტოსი ..................... 3:0
ლამია-იანინა ..................... 1:1
ოლიმპიაკოსი-არისი ..................... 4:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ალანია-ერზრუმი ..................... 2:1
გიოზთეფე-ქაშიმფაშა ..................... 0:0
რიზე-ქაისერი ..................... 3:0
ბეშიქთაში-ქონია ..................... 3:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

სლავია-ბანიკი ..................... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-ზაგლებიე ..................... 0:3
ლეგნიცა-ლეხი ..................... 3:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

დინამო-არსენალი ..................... 4:0
შახტარი-კარპატი ..................... 5:0
ოლექსანდრია-ოლიმპიკი ..................... 1:1

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-ჰორსენსი ..................... 2:0
სონდერიისკე-ესბიერგი ..................... 3:1
ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი ..................... 2:2
ბრონდბიუ-ოლბორგი ..................... 3:3

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# საბურთალოს და როლოვიჩს ვერ აჩერებენ



**საბურთალო-რუსთავი 2:1**

**10 მარტი. მიხეილ მესხი**

**0:1 ქავთარაძე (28პ), 1:1, 2:1 როლოვიჩი (55, 90)**

**საბურთალო:** მიგინეიშვილი, მალი, მარგველაშვილი, ცნობილაძე, ჩაბრაძე (ლაკვეხელიანი 46), შინდაგორიძე (როლოვიჩი 46), დიასამიძე, ალთუნაშვილი, გორგიაშვილი, დვალიშვილი, გი (გვარაძე 60)

**რუსთავი:** მამარდაშვილი, კაპანაძე, ტაკულოვი, გადრანი, ჯაფიაშვილი, ხუბუტია, ფონიავა, სილაგაძე (ციცქიშვილი 68), ქავთარაძე (გუჯაბიძე 80), იმნაძე (ჩოგაძე 88), ყიფიანი

საქართველოს ჩემპიონი წარმატებულ სვლას განაგრძობს. საბურთალო ამჯერად რუსთავს დაუპირისპირდა და ბალკანელი ფორვარდის მიერ 2 გოლის წყალობით, მეტოქე დაამარცხა. გამარჯვების მომტანი გოლი როლოვიჩმა მატჩის უკანასკნელ წუთზე გაიტანა და თავისიანებს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა. მესამე ტურის შემდეგ, საბურთალო ერთადერთი კლუბია, რომელმაც 3 შესაძლებლობიდან, ქულათა მაქსიმუმს მოუყარა თავი.

25 წლის ოგნიენ როლოვიჩი კი მცირე დროში კლუბის მთავარ მეგოლედ ჩამოყალიბდა. თავად განსაჯეთ – თავდამსხმელი სამივე შეხვედრაში ცვლილებაზე შევიდა, სულ 111 წუთი გაატარა მინდორზე და 4 გოლი გაიტანა. როლოვიჩი კარგად კითხულობს თამაშს, სწორად აფასებს სათამაშო პოზიციას, აქვს გოლის გატანის ალღო და ორივე ფეხით ერთნაირად თამაშობს. ბალკანელი ფორვარდი ბომბარდირთა დავას ჩაუდგა სათავეში.

პირველ ნახევარში ბევრი საინტერესო არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით თერთმეტმეტრიანს, რომელიც მასპინძელთა კარში დაინიშნა – პენალტი გოლად ქავთარაძემ აქცია. შესვენებაზე გიორგი ჭიაბრიშვილმა ორმაგი ცვლილება განახორციელა – ლაშა შინდაგორიძისა და გრიგოლ ჩაბრაძის ნაცვლად, თამაშში ლუკა ლაკვეხელიანი და როლოვიჩი ჩაერთვნენ. ამ უკანასკნელმა 55-ე წუთზე გამთანაბრებელი გოლი გაიტანა, გამოზომილი პასი კი სანდრო ალთუნაშვილმა გაუკეთა, რომელმაც მოწინააღმდეგეს წაართვა ბურთი და როლოვიჩი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა – 1:1.

რამდენიმე წუთში ბექა გვარაძეს მიეცა კარის აღების შანსი, მაგრამ ნახევარმცველის დარტყმული ბურთი ერთ-ერთ რუსთაველს მოხვდა და ბურთი კუთხურზე გადავიდა. მატჩის უკანასკნელი წუთი მიმდინარეობდა, როდესაც საბურთალო ბოლო ძალებით უტევდა – ვლადიმერ დვალიშვილის პასის შემდეგ, როლოვიჩს მიუვიდა და მარცხენა ფეხით მეკარისგან ახლო კუთხეში შედეგიანი დარტყმა განახორციელა.

**დინამო (თბ)-დინამო (ბთ)**

**თბილისი. დინამო არენა**

**0:1 გადრანი (12)**

**დინამო (თბ):** პერალესი, იაშვილი, მეჯუბი, მონხილი, ნოჩე, ივანისენია (ზარია 78), კუხიანიძე (ნინუა 60), შულაია, შენგელია, კარბია, როხანო (კუტალია 66)

**დინამო (ბთ):** ალავიძე, გადრანი, მელიავა, გაგოშიძე, ჩალაძე, მამუჩაშვილი, მანჯგალაძე, ჯანელიძე (ცაცკრიალაშვილი 86), რამოსი, ილურიძე (თევდორაძე 46), საბანაძე (გაფრინდაშვილი 72)

**გაძევება:** მელიავა (84)

ვერ არის ფორმაში თბილისის დინამო, რომელმაც ზედიზედ მეორე მატჩი წააგო. დედაქალაქელები წინა ტურში ბოლნისის სიონთან დამარცხდნენ, ამჯერად კი ბათუმელ თანაკლუბელებთან.

შეხვედრის პირველი სახიფათო მომენტი მასპინძელთა ანგარიშზეა. მეშვიდე წუთზე ლევან შენგელია საჯარიმოში შეიჭრა, მეტოქეს ცრუ მოძრაობით გაცდა, დარტყმული კი მიხეილ ალავიძის ნადავლი გახდა.

საპასუხოდ, 5 წუთში მეტოქემ გახსნა ანგარიში – გიული მანჯგალაძის კუთხურის მერე გოლი გიორგი გადრანმა გაიტანა. როგორც შემდეგ გაირკვა, გამარჯვების.

მასპინძლებს ანგარიშის გაქვითვა მეოცე წუთზე შეეძლოთ. აკაკი შულაიას ჩაწოდებულს დმიტრო ივანისენიას თავური ოდნავ აცდა მეტოქის კარს. ორიოდე წუთში შენგელიას სოლო რეიდი მეტოქემ წესის დარღვევით საჯარიმოს ხაზთან შეაჩერა. თავად შენგელიას შესრულებული საჯარიმო კი მეკარემ უკუაგდო. 39-ე წუთზე კიდევ ერთი სახიფათო მომენტი მასპინძელთა შესრულებით, შენგელიას ტექნიკური დარტყმული მეკარემ მოიგერია. 44-ე წუთზე დმიტრო ივანისენიას შორეული დარტყმა და ისევ მეკარე დგას მოწოდების სიმაღლეზე. ტაიმის ბოლო წუთზე ისევ ივანისენია და ოდნავ არაზუსტი დარტყმა. იქვე ბათუმელთა მეკარემ ანტონიო როხანოს ახლო მანძილიდან დარტყმულიც მოიგერია.

შეიძლება ითქვას, რომ პირველი ნახევარი დედაქალაქელთა სრული უპირატესობით და მიხეილ ალავიძის საუცხოო თამაშით აღინიშნა.

მეორე ნახევარი გუნდებმა მაღალ ტემპში განაახლეს. თბილისელთა მიჯრით რამდენიმე კუთხური და ისევ უშედეგოდ. მატჩის 56-ე წუთზე სტუმართა კარი კიდევ ერთხელ გადაურჩა გაშვებულ გოლს. ფრან კარბიას ტექნიკური დარტყმული მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა. 68-ე წუთზე მასპინძელთა შეტევას შენგელია ასრულებდა, მისი დარტყმული ისევ მეკარემ მოიგერია. მატჩის ბოლოსკენ არაერთი შეტევა მასპინძელთა შესრულებით და ისევ უშედეგოდ, მათგან ყველაზე აღსანიშნავი ისევ შენგელიას დარტყმული კარის ზედა მარცხენა კუთხეში და ბურთი ოდნავ ასცდა კარს. საბოლოოდ არაფერი შეიცვალა და მატჩი სტუმართა გამარჯვებით დასრულდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 2.ლოკომოტივი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 3.ტორპედო | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 4.ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 5.დინამო (თბ) | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 6.სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 7.დინამო (ბთ) | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |
| 8.დილა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 9.ჩიხურა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 10.რუსთავი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |

# შერმადინი ესპანეთში საუკეთესოა, ცინცაძე და ბერიშვილი ჩემპიონები გახდნენ

დასაწყისი მე-9 გვერდზე

8 ქულით ბოლო, მე-18 ადგილს იკავებს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა, სანდრო მამუკელაშვილმა ამერიკის სტუდენტურ ლიგაში კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ნცაა-ს ჩემპიონ ვილანოვასთან მატჩში 19 წლის ქართველმა ფორვარდმა 12 ქულა და 18 მოხსნა მოაგროვა და სეტონ ჰოლს სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოაპოვებინა – 79:75.

სეთონ ჰოლმა ბიგ ისთის კონფერენციის რეგულარული ჩემპიონატი 9-9 მოგება-წაგებით დაასრულა მე-4 ადგილი დაიკავა. მთავარი, ეს შედეგი 64-გუნდიანი ჩემპიონატის საგზურია.

დუდა სანაძის წინამძღოლობით რადომმა პოლონეთის ჩემპიონატში სტარგრადი დაამარცხა. 5 მოგებითა და 10 მარცხით ეს გუნდები ცხრილში 12-13 ადგილებს იყოფდნენ, მატჩის მასპინძელი კი სტარგრადი გახლდათ. ასეთ პრინციპულ მატჩში რადომელებს დუდა სანაძემ ულიდერა, რომელმაც თავის გუნდს დაძაბულ ბრძოლაში – 83:80 გაამარჯვებინა.

სანაძე სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 32 წუთში 22 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. სანაძე საკუთარ გუნდში საუკეთესო იყო და რადომელებმა რომ მოიგეს, უპირველესად მისი დამსახურებაა.

ეს გახლდათ სანაძის პირველი გამარჯვება მას შემდეგ, რაც პოლონურ კლუბში გადავიდა. დუდამ რადომში აქამდე 6 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ წაგებული მატჩები იგემა.

გიორგი ცინცაძე და მიხეილ ბერიშვილი კი, ყატარის ჩემპიონები არიან. მათმა გუნდმა ალ შამალმა ფინალურ შეხვედრაში 80:77 დაამარცხა ალ არაბი და ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ნახევარფინალებისგან განსხვავებით, ფინალში სერია არ გამართულა. ჩემპიონი 1 მატჩის შედეგად გამოვლინდა და ის ქართველების გუნდი გახდა.

ორივე ქართველმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა. ცინცაძემ მოედანზე 32 წუთი გაატარა, რა დროშიც ქართველმა 12 ქულა, 8 პასი და 3 მოხსნა დაუგროვდა.

ბერიშვილმაც 32 წუთი ითამაშა. მისი სტატისტიკა უფრო მოკრძალებული გახლდათ – 3 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**ილია გულედანის მემკვიდრეთა საყურადღებოდ**

06.10.2018 წ.-ს გარდაცვლილი ილია გულედანის (დაბადებული 28.07.1936 წ.) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ლელა ინწკირველთან (თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა №21, მე-4 სართული). დაინტერესებულმა პირებმა ნოტარიუსს მიმართეთ 8 აპრილის ჩათვლით.

# ქალს კენჭის გავლა ეგონა და ბავშვი გააჩინა



ამერიკელმა ქალბატონმა ელისონ ოპფერმა საკუთარი ფეხმძიმედ ყოფნის შესახებ მაშინ შეიტყო, როდესაც სამშობიარო ჭინთვები დაეწყო. გავრცელებული ინფორმაციით, ქალი საავადმყოფოში კენჭის გავლაზე ჩივილებით მივიდა.

ოჰაიოს შტატის პორტრიჯის ოლქის მკვიდრმა ქალბატონმა მოულოდნელად მუცლის არეში მკვეთრი ტკივილი იგრძნო. მან სასწრაფო გამოიძახა. ადგილზე მისულმა ექიმებმა ვარაუდი გამოთქვეს, რომ მას კენჭის გავლა ჰქონდა. 22 წლის ელისონი საავადმყოფოში გადაიყვანეს და ულტრაბგერით გამოკვლევაზე გააგზავნეს. იქ კენჭები ვერ აღმოუჩინეს, სამაგიეროდ დაადგინეს, რომ ფეხმძიმობის ბოლო სტადიაში იმყოფებოდა და მას სამშობიარო ჭინთვები დაეწყო.

ოპფერს მკვეთრად აუწია არტერიალურმა წნევამ და ექიმების თქმით, მას პრეკლამპსია ჰქონდა – შეტევა, რომლის დროსაც წნევა იმდენად მაღლა იწევს, რომ ის დედის და ბავშვის სიცოცხლეს ემუქრება.

– მათ მითხრეს, სასწრაფო დროულად რომ არ გამომეძახა, უეჭველად მოვკვდებოდი, – განაცხადა ელისონმა. მას სასწრაფო საკეისრო კვეთა გაუკეთდა. ქალს ეყოლა ბიჭი, რომელსაც ოლივერი დაარქვა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

**12 მარტისთვის**



**ვერძი** – ეს დღე სულიერ სიმშვიდეს მოგიტანთ. აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. **კურო** – ყოველგვარი საქმე გადადეთ და კარგად დაისვენეთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. **ტყუპები** – ბიზნესში წარმატება გელით. პლანეტა ვენერას მფარველობის მეოხებით სიყვარულში გაგიმართლებთ. **კირჩხიბი** – საინტერესო ცვლილებების დღეა. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **ლომი** – რისკი გაამართლებს. მთავარია, საკუთარი ძალების რწმენა იქონიოთ და პროფესიონალიზმი აიმაღლოთ. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში საოჯახო საქმეების მოგვარებისას პრობლემები შეგექმნებათ. საღამოს გელით რომანტიკული თავგადასავალი. **სასწორი** – ენერგიულად ხართ. ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავთ. **მორიელი**… **ღრიანკალი** – სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება. ერიდეთ ქალაქიდან გასვლასა და ფიზიკურ დატვირთვას. **მშვილდოსანი** – საქმეს პრაქტიკულად მიუდექით. ღრუბლებში ნუ დაფრინავთ. **თხის რქა** – ნუ გარისკავთ. თუ ძვირფასი ნივთის შეძენა გადაწყვიტეთ, უმჯობესი იქნება, საამისოდ სხვა დრო შეარჩიოთ. **მერწყული** – თქვენი შემოსავალი მცირედ, მაგრამ მაინც იზრდება. ახალი იდეების რეალიზაციას დიდი სიფრთხილით მიუდექით. **თევზები** – კრიტიკული დღეა. თავი შეიკავეთ ემოციების გამოხატვისგან. საჭიროების შემთხვევაში დახმარება მეგობრებს სთხოვეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. გოეთეს ტრაგედია; 2. საწვავად, სასუქად გამოყენებული მკვრივი მასა, რომელიც წარმოქმნილია ჭაობის მცენარეების ლპობის შედეგად; 3. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 5. ხიდის საყრდენი ბურჯი; 6. პურეული მცენარე; 7. მღვდლის ცოლი; 11. ქვევრის ღვინოში არსებული მთრიმლავი ნივთიერება; 13. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 14. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 15. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 16. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ახალ ზელანდიაში; 17. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 19. ფქვილის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 20 კახეთში გავრცელებული თეთრყურძნიანი ვაზის ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 1. დარბაზის ფეხბურთი; 4. რაიონული ცენტრი ქართლში; 8. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 9. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 10. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 12. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 14. ესპანეთის კინემატოგრაფისტთა პრემია; 15. უღელტეხილი კავკასიონზე; 16. კომპოზიტორის ნომრით აღნიშნული ნაწარმოები; 18. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 21. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 22. სითხის, აირის, წნევისა და ხარჯის სარეგულაციო სარქველი; 23. ინდმეწარმე სოფლად.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. პფენიგი; 5. ტემპი; 7. გურმანი; 9. ქარაგმა; 10. ალიგოტე; 13. ზვარაკი; 14. ანანკე; 15. სენა; 19. ავაზაკი; 20. მონოტიპი; 21. კავენდიში; 22. ვინილი.

**შვეულად:** 1. პუნქტი; 2. ნისანი; 3. პულოვერი; 4. ანალოე; 6. პათეტიკა; 8. ემბაზი; 11. ენდშპილი; 12. სერვისი; 16. საბზა; 17. კორტი; 18. ლუქსი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. არეტა; 2. ბაქანი; 3. ქანდარა; 4. ავშარა; 5. სნო; 6. ფოფოდია; 7. აკოსტა; 8. თარაშ; 9. გო; 10. აბა; 11. ნავარა; 12. ტორი; 13. კაკანათი; 14. კარგო; 15. ილიადა; 16. არისა; 17. არვე; 18. რაე; 19. იქთიოგრაფია; 20. პადრე; 21. პირანია; 22. ლინი; 23. სარდინი; 24. ტოსტერი; 25. ოდილია; 26. ლანსერე; 27. ტაელი; 28. რინიტი; 29. კეიტ; 30. იდიია; 31. ილუსტრატორი; 32. ისიდა.

**სურათებზე:** დებორა სეკო; ედისონ კავანი.

## ბესო ზანგური: „მოგვაქციეთ მსახიობებს ყურადღება!“



რუსთაველის თეატრის მსახიობი ბესო ზანგური მსახიობების მიმართ ყურადღების გამოჩენას ითხოვს:

– ცოტა მოგვაქციეთ მსახიობებს ყურადღება. მაინცდამაინც ყველა რომ დავტოვებთ ქვეყანას, მაშინ გაზრდით ხელფასებს და დათვლით, ვინ რამდენი შვილით, როგორ ვახერხებდით ღიმილებით ტკივილების დაფარვას?

## სოფო ტოროშელიძე ოთო ნემსაძეს მხარდაჭერას უცხადებს



მომღერალი სოფო ტოროშელიძე კოლეგას, ოთო ნემსაძეს მხარდაჭერას უცხადებს.

ოთო წელს საქართველოს „ევროვიზიაზე“ წარადგენს. მის მიმართ კი კრიტიკა და შეურაცხყოფა არ სრულდება. სოფო ჯგუფ „ელდრაინთან“ ერთად მონაწილეობდა ევროვიზიის კონკურსში და კარგად იცის, როგორი სტრესია ეს ყველაფერი.

სოფო ტოროშელიძე:

– იცით რა მაინტერესებს... რამე გაკმაყოფილებთ, ზოგადად, თქვენო უდიდებულესობავ, ქართველო ერო? მინდა გაგახსენოთ „ევროვიზია 2016“-ის გამარჯვებული უკრაინის წარმომადგენელი ჯამალა, რომელიც, გაგიკვირდებათ და, დიახ, რუსეთის აგრესიას გმობდა და პირდაპირ პოლიტიკური შინაარსი ჰქონდა ტექსტს!

იქიდან გამომდინარე, რომ ჯამალა თვითონ აზერბაიჯანელი იყო წარმოშობით, მუსიკალურ-დრამატურგიულად დუდუკის ელემენტებით და აზერბაიჯანული ფოლკით იყო აწყობილი მთელი ტრეკი და კარგად გვარიანად გოდებდა ჩვენი ჯამალა ეგრეთ წოდებულ „ბრიჯში“!

ხოდა, თუ რამე არ მოგწონთ ოთოში და სიმღერაში „ქე მაინც“ სხვა არგუმენტი მოიყვანეთ, რომ ღირდეს საკამათოდ! არჩევანში თავისუფალია ყველა და უნდა მოეწონება, უნდა არა ადამიანს, თუმცა ის, რომ პოლიტიკურია და საპროტესტოა ეს სიმღერა, უბრალოდ არ არის სწორი და მყარი არგუმენტი იმისთვის, რომ არ მოგეწონოთ წლევანდელი წარმომადგენელი! რამე სხვა მოიფიქრეთ! ჩვენ ხომ პროფესორები ვართ ყველაფერში!

## ქეთევან კიკნაძეს პატრულის დახმარება დასჭირდა



მსახიობ ქეთევან კიკნაძეს პატრულის დახმარება დასჭირდა:

– პურის მოედანზე საბურავი დამეშვა, პატრული ძალიან დამეხმარა, ხელოსანი მომიყვანეს, წავედით და გამიკეთეს. მადლობა ასეთ ადამიანებს, ნეტავ ყველა ასეთები იყვნენ.

ლესელიძეზე კი ისევ პატრულმა გამაჩერა, ვინაიდან ძალზე დაბნეული ვიყავი, ისე გავეჩხირე, ქამარი ვერ გავიკეთე და ვუთხარი, არ ამოდის აქედან მეთქი, საბუთები მომთხოვეს, ისიც ველარ ვნახე, მერე კომპიუტერში მოძებნეს გვარის მიხედვით. გამაფრთხილეს, არ დამაჯარიმეს. გაიხარონ, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, ქალი პატრულები საშინელი ხალხია, ანუ ნამდვილი ფაშისტები. ვინ დააბრალათ ადამიანობა საერთოდ.

ჩემი ქვეყნის პატრულს, ყველას ვუსურვებ გახარებას და კარგად ყოფნას. თქვენი ლოზუნგი ყოველთვის ყოფილიყოს სამართლიანობა!

## ნატა გულიაშვილმა საზოგადოება დააბნია



მსახიობმა ნატა გულიაშვილმა საზოგადოება დააბნია. მან პუბლიცისტ თაკო ჩარკვიანის მიერ პოლიტიკური გაერთიანების „კანონი და სამართალი“ დამფუძნებელი ყრილობის დაწყების წინ განაცხადა, რომ ძალიან ბევრი უსამართლობა ხდება და სურს ეს უსამართლობა აღმოიფხვრას, თანაც თაკო ჩარკვიანის პარტიასთან ერთად ბევრი კარგი საქმის გაკეთებას გეგმავს.

თაკო ჩარკვიანის შვილმა, პიანისტმა ირმა გიგანმა განაცხადა, რომ ნატა გულიაშვილი დედამისის პარტიის წევრი არ არის.

თავად თაკო ჩარკვიანმა კი უწყვეტი სატელეფონო ზარების გამო ასეთი განმარტება გააკეთა:

– მსახიობ ნატა გულიაშვილის გამო მირეკავენ. ზოგადად ამ ადამიანის საწინააღმდეგო არავის არაფერი გვაქვს, მით უმეტეს, მე. უბრალოდ გეტყვით, რომ ნატა ჩვენი გუნდის წევრი არ არის, ის გუნდის წევრი არ არის, გუნდი წარმოვადგინეთ ყრილობაზე, პარტიაში გაწევრიანების უფლება კი ყველა მოქალაქეს აქვს, კონსტიტუციური უფლებაა. რატომ ლანძღავს ზოგიერთი ამ ადამიანს, გაუგებარია, თუმცა ყანდურ–ყანდიაშვილის ტროლები, სულ გადამავიწყდნენ რუსთაველის 12 ნომრიდან. მე კი, ნამდვილად მესმის ყანდიაშვილ-ფოფხაძის ბანდის, რატომ შეწუხდნენ?! სწორადაც, რადგან მათ კი უნდა ეშინოდეთ „კანონი და სამართლის“.

## ნიკა ქავთარაძე გააბრაზეს



იუმორისტი ნიკა ქავთარაძე გააბრაზეს. მიზეზი მისი ახლობლებისა და ოჯახის წევრებისთვის გულის ტკენაა:

– კურიერს ვუყურებ. ტროლებზე და ბოტებზეა სიუჟეტი. ისედაც ხომ ვიცოდი მათი არსებობა, მაგრამ ახლა კიდევ უფრო გავბრაზდი.

ოცნების მედიასთან ურთიერთობის და პიარის სამსახურში ვინც ხართ, ხომ ყველამ იცოდით მათზე, ტიპებზე, რომლებიც დაგეშილი ცოფიანი ძაღლებივით გვგლეჯდნენ ადამიანებს თავისუფალი სიტყვის გამო – როგორ გძინავთ?! როგორ მოგწონთ ასეთი სამსახური?! როგორ არ გიტყდებათ?! ფუუუ!

## ცხინვალის თეატრს ახალი შენობა გადაეცემა

ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს ახალი შენობა გადაეცემა.

შენობას თეატრს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გადასცემს. დევნილ თეატრს 1746 კვადრატული მეტრის ფართი გადაეცემა, რომელიც პეტრიაშვილის 7 ნომერში მდებარეობს. ამ ტერიტორიაზე მდებარე ფართი სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტომ მიმდინარე წელს გადასცა. უახლოეს მომავალში მომზადდება საპროექტო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მოხდება სივრცის რეკონსტრუქცია და ცხინვალის თეატრი სრულფასოვან ფუნქციონირებას შეძლებს.

ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 142 წლისაა. 1991 წელს ცხინვალში განვითარებული მოვლენების შედეგად ეს უძველესი თეატრი იძულებული გახდა, ფორსმაჟორულ რეჟიმში დაეტოვებინა ქალაქი. დასმა დედაქალაქს შეაფარა თავი.

კულტურის სამინისტროსა და თეატრის მოღვაწეთა კავშირის დახმარებით დევნილ დასს სარეპეტიციოდ გადაეცა ყოფილი პოლიტ. განათლების სახლი აღმაშენებლის გამზირზე. 1994 წელს ცხინვალის დასი მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენობაში გადაიყვანეს. ცხინვალის თეატრმა ღირსეული რეპერტუარი შექმნა და თავისი მაყურებელი თბილისშიც შეიძინა. ოთხი წლის შემდეგ, „დევნილმა“ თეატრმა ფუნქციონირება განაგრძო რკინიგზელთა კულტურის ცენტრში, თუმცა თეატრს რკინიგზელთა სახლის შენობის დატოვებაც მოუხდა.



სამინისტრომ თეატრს სანაპიროს 4 ნომერში მდებარე შენობაში დროებით გამოუყო საოფისე ფართი, დეკორაციისა და რეკვიზიტის სათავსო და უზრუნველყო ცხინვალის თეატრის სპექტაკლების ჩვენება რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე.

1991 წლიდან დღემდე, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, თეატრს ფუნქციონირება არ შეუწყვეტია. თეატრის დასმა არაერთხელ გამართა საპროტესტო აქცია შენობის და სათანადო პირობების მოთხოვნით, თუმცა მათი საკითხის მოგვარება ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

სულ მალე ცხინვალის თეატრს თავისი შენობა ექნება, სადაც ყველანაირი შესაძლებლობა ექნება, სრულფასოვნად იმუშაოს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ნაომი კემპბელმა ჰონკონგი დაიპყრო



პარიზში მოდის კვირეულზე ეფექტური გამოჩენის შემდეგ ცნობილმა ბრიტანელმა მოდელმა ნაომი კემპბელმა ჰონკონგში გადაინაცვლა.

ფორმულა ე-ს პატივსაცემად გამართულ საღამოზე 48 წლის ნაომი თავის 25 წლის ბოიფრენდ ლიამ პეინთან ერთად გამოჩნდა. მოდელს ეცვა უმშვენიერესი ბეჟი ფერის კაბა დამშვენებული მოოქროვილი ქვებით.

ასევე ცნობილ მოდელს ამშვენებდა ძვირფასი სამკაულები – სამაჯურები, ყელსაბამი და ბეჭდები. მას ასევე სახეზე ეკეთა მსუბუქი მაკიაჟი და საკმაოდ უბრალო ვარცხნილობა – სწორი თმები.

კემპბელის შეყვარებულმა საზოგადოებაში გამოსასვლელად შეარჩია შავი ფერის სმოკინგი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ კამერების წინ ერთად პოზირებას თავი აარიდეს და ისე იქცეოდნენ, თითქოს წვეულებაზე ცალ-ცალკე იყვნენ მოსულები.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## ამირან ციცქიშვილის გახსენება



გავიდა 40 დღე საქართველოს რკინიგზის ღვაწლმოსილი მუშაკის, „შრომის ვეტერანის“, „საპატიო რკინიგზელისა“ და საქართველოს „დამსახურებული ინჟინრის“ ამირან გერონტის ძე ციცქიშვილის გარდაცვალებიდან.

ის წლების განმავლობაში მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ელექტრიფიკაციისა და ენერგომეურნეობის სამსახურის ენერგეტიკის განყოფილების უფროსად, 1973-1997 წლებში იყო თბილისის შ.ელიავას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმის დირექტორი. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ახალგაზრდა რკინიგზელთა კადრების აღზრდისა და საქართველოს რკინიგზის ელექტრიფიკაციის განვითარების საქმეში.

ამირან ციცქიშვილი გამოირჩეოდა ფართო ერუდიციით, საქმისადმი დიდი სიყვარულით, ადამიანების მიმართ გულისხმიერებითა და პატივისცემით. მისი ხსოვნა დაუვიწყარია საქართველოს რკინიგზის შრომის ვეტერანთა შორის.



„ცხოვრებაში ორჯერ დაბადებულს, ერთი სიკვდილი ვერას უზამს“ და ბატონი

### ვაჟა ნესტორის ძე გერგაია

მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც მან მასწავლებლობა აირჩია. „ქვეყნად არც ერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.

მასწავლებლები მარად უკვდავნი არიან, ამაზე ხუტა ბერულავას „ევრიკა“ მიუთითებს:

„შენ კი ცხოვრების დიად თავმდებად,
ერთი თარიღი გარგუნა ბედმა,
რადგან სიკვდილი შენს დაბადებას,
გვერდით დადგომას ვერ გაუბედავს!“.

ნათელში იყოს ბატონი ვაჟას მასწავლებლობის სინდისით გასხივოსნებული, უკვდავი სული, ამინ!

***მის მიერ აღზრდილ და გაწვრთნილ მოსწავლეთა სახელით, რაჟდენ ქარდავა***



## ნაზი ნავროზაშვილის ნათელ ხსოვნას

შენი სულის ცად ამაღლებიდან ორმოცი დღე გავიდა...

ცხოვრების გზაზე ღირსეულად მავალს სითბოს უშურველად გაცემის ნიჭი დაგანათლა გამჩენმა. მანვე ინება ასე ნაადრევად საწუთროდან შენი გარიდებაც...

გაზაფხულს, ბუნების გამოცოცხლებას დაასწარი ამქვეყნად მოსვლა. არსთა გამრიგემ გაზაფხულისავე დადგომამდე წაგიყვანა...

ვინ იცის, თებერვლისათვის ასე უჩვეულოდ თბილი დარები, შენი დაბადების კვირაძალს, იქნებ, ხარკი იყო ღვთისაგან – ჩვენგან შენი წაგვრისათვის...

შენსავით ვერავინ მოგვეფერება მეგობრებს, შენსავით ვერავინ გაგვანებივრებს სიყვარულით...

ისევ მოვა გაზაფხული. შენი მარადიული საბრძანისის ბორცვი ისევ მოიჩითება გაზაფხულის ყვავილებით. ისევ შევხვდებით შენი დაბადების დღესაც, ვაგლახ, რომ უშენოდ...

შენზე ფიქრის ორმოცი მძიმე დღე შერჩა ღაღადისად ცარგვალს:

ჩვენს გულში მარადჟამს დარჩები, იცოდე -
ცივია უშენოდ ჩვენი სიმარტოვე,
ცხოვრების დანარჩენ გზასავალს გაგვითბობს
ის სითბო, რომელიც ამქვეყნად დატოვე...

***შენი მეგობრები რუსუდან ფაღავა, მზეო მამულაშვილი***

## კუსანა ხუნწარიას

ჩვენო ძვირფასო კუსა, ძალიან გვენატრები, რადგან გვაკლია შენი ყურადღება, შენი სიცილი, შენი კეთილი გული, შენი გულთბილი შეხვედრა და საქმიანი საუბარი. წელს სკოლის დამთავრებიდან 60 წელი უნდა გვეზეიმა. უშენოდ ეს დღესასწაული უფერული იქნება. პირობას გაძლევთ, სანამ ცოცხლები ვიქნებით, არ დაგივიწყებთ. ჩვენ ასაკოვნები ვართ, ამიტომ ნელ-ნელა ყველა შენსკენ წამოვალთ, მანამდე კი მშვიდად იძინე და ბუმბულად გეფაროს შენი საყვარელი ფოთის მიწა.

***თანაკლასელები***

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 მარტისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6878 |
| ევრო | 3.0396 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.5318 |
| 100 რუსული რუბლი | 4.0740 |

## ამინდის პროგნოზი 12 მარტისთვის





## „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ სერიას „მე მიყვარს კითხვა“



12 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

საღმრთო ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



5 მარტიდან

ჟიულ ვერნი

იდუმალი კუნძული

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

## „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ სერიას

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

15 მარტიდან

ანდრე ჟიდი

ცოლთა სკოლა

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




## ჯენიფერ ლოპესი იოგას ტანსაცმელს უწევს რეკლამას



ბრენდმა Niyama Sol-მა ტანსაცმლის ახალი კოლექცია გამოუშვა, რომელიც იოგასთვისაა განკუთვნილი და მის რეკლამაში ჰოლივუდის მსახიობი და მომღერალი ჯენიფერ ლოპესი იღებს მონაწილეობას. კადრები სარეკლამო ფოტოსესიიდან ლოპესმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

სურათზე მსახიობი და მომღერალი სპორტული ბიუსჰალტერით, ყვავილებითა და საკუთარი გამოსახულებით დამშვენებული ლეგინსის დემონსტრირებას ახდენს.

ფანებმა აღფრთოვანება არ დამალეს ლოპესის გარეგნობისა და მის ფორმების გამო.

– შენ მართლა 1969 წელს ხარ დაბადებული, – გაკვირვებას გამოხატავს ერთ-ერთი მისი ფანი.

– საოცარი სხეული გაქვს! – აღფრთოვანებას ვერ მალავს მეორე თაყვანისმცემელი.

– წლებთან ერთად, შენ უფრო უკეთესი ხდები! როგორც საუკეთესო ღვინო, – დაწერა კომენტარში მესამემ.

ლეგინსები ჯენიფერ ლოპესის გამოსახულებით ხელმისაწვდომია ნიყამა შოლ-მას ოფიციალურ ვებ-გვერდზე და მათი ფასი 88 დოლარია.

## იუმორი

მამაკაცი საწარმოს ხელმძღვანელს ეუბნება:

– მინდა, თქვენს საწარმოს შევთავაზო ეს პირის საპარსი ავტომატი. კლიენტი მასში ჩაუშვებს მონეტას, თავს ამ ჭრილში შეყოფს და ორი „ბრიტვა“ ავტომატურად იწყებს მის პარსვას.

– კი მაგრამ, ყველა ადამიანს ხომ ინდივიდუალური სახის ნაკვთები აქვს და...

– თავიდან კი!

●●●

დაქალები მანქანის დაშვებულ საბურავს უყურებენ და ერთი მეორეს ეუბნება:

– ნახე რა, საბურავი დაეშვა...

– სულ?

– არა, მარტო ქვედა მხარე.

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– საზამთროს რატომ არ ჭამთ?

– ყურები მესვრება...

●●●

ხალხით სავსე ავტობუსის მძღოლი მგზავრებს მიმართავს:

– შემჭიდროვდით ნაძვის ხესავით!

– არ გამოდის, გირჩები გვიშლის ხელს!

●●●

ერთი ბიჭი მეორეს ეუბნება:

– გუშინ გოგო გავიცანი, ძალიან მომეწონა!

– ტელეფონი მაინც თუ გამოართვი?

– აბა რა, აი ნახე, რა მაგარია!

●●●

მამაკაცს ეკითხებიან:

– არჩევანის წინაშე რომ დაგაყენონ: მწვადი, სექსი თუ ალკოჰოლი, რომელს აირჩევდით?

– ტირილს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, შენი ცოლი როგორ გაიცანი?

– შემთხვევით, ვერავის დავადანაშაულებ...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ძალიან მგრძნობიარე გული მაქვს.

– რაში გამოიხატება?

– ქმარს რომ ვცემ, მერე ორი დღე ვქვითინებ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კრიშტიანო რონალდუ: „მეოთხედფინალში გასვლა შეგვიძლია“



ტურინის იუვენტუსის ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ ატლეტიკოსთან განმეორებით შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია ორბურთიანი დეფიციტი აღმოფხვრას.

რონალდუს აზრით, იუვენტუსი ვალდებულია, რომ თავისი გულშემატკივრის წინაშე საუკეთესო თამაში აჩვენოს:

– ატლეტიკო ძლიერი გუნდია, რომელიც შესანიშნავად თამაშობს დაცვაში. ეს ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ჩვენ იუვენტუსი ვართ და ჩვენთვის გადაულახავი წინააღმდეგობა არ არსებობს. ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ და შედეგს მივაღწევთ.

## კილიან მბაპე: „მანჩესტერთან მარცხის შემდეგ ღამე ცუდად მძინავს“



პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ მანჩესტერ იუნაიტედთან მარცხზე ისაუბრა და თქვა, რომ იმ თამაშის შემდეგ მას ღამეები ცუდად სძინავს და თავს ცუდად გრძნობს.

მბაპეს თქმით, მთელი წლის შრომა ერთმა თამაშმა წყალში ჩაყარა და მომავალში მსგავსი რამ არ უნდა განმეორდეს.

– სიმართლე გითხრათ, თავს საშინლად ვგრძნობ, რადგან გამოვარდნას არ ვიმსახურებდით და ეს ჩვენთვის მტკივნეულია. მინდა ყველა გულშემატკივარს ბოდიში მოვუხადო და დავპირდე, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება, – განაცხადა მბაპემ.

პსჟ-მ საკუთარ მოედანზე მანჩესტერ იუნაიტედთან 1:3 წააგო და ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა.

## სერხიო რამოსი: „ეს სეზონი კატასტროფა იყო“



მადრიდის რეალის კაპიტანმა სერხიო რამოსმა რეალის სეზონი შეაფასა და თქვა, რომ ეს სეზონი კატასტროფა იყო და გუნდმა მალე უნდა დაივიწყოს, რაც წელს მოხდა.

რამოსის აზრით, ასეთ შედეგს ბევრი მიზეზი აქვს და მხოლოდ ფეხბურთელები დამნაშავეები არ არიან.

– მე, როგორც კაპიტანი, პირველ რიგში პასუხს ვაგებ ასეთი შედეგების გამო და მინდა გულშემატკივარს ბოდიში მოვუხადო. სეზონი ძალიან ცუდად ჩავატარეთ და ეს მომავალში არ უნდა განმეორდეს. აიაქსთან თამაშის ყურება ძალიან მძიმე იყო და ვნანობ, რომ ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მივიღე, – განაცხადა რამოსმა.

## სოლსკიაერმა პრემიერლიგაში პირველი მატჩი წააგო



ოლე გუნარ სოლსკიაერის ხელმძღვანელობით მანჩესტერ იუნაიტედი პრემიერლიგაში პირველად დამარცხდა. მანჩესტერმა სტუმრად წააგო 0:2 არსენალთან და სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა.

ნორვეგიელმა მწვრთნელმა მატჩის შემდეგ თქვა, რომ მისი გუნდი წაგებას არ იმსახურებდა:

– მეტოქეს ჩვენზე უკეთ არ უთამაშია, უბრალოდ, მან თავიანთი შანსები უკეთ გამოიყენა. მარცხი არ დაგვიმსახურებია, მაგრამ ფეხბურთში ასეც ხდება ხოლმე.

## დემბელემ შესაძლოა ლიონთან ვერ ითამაშოს



უსმან დემბელემ რაიო ვალეკანოსთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და შესაძლოა მან ლიონთან მატჩი გამოტოვოს.

დემბელეს ბარძაყის უკან მხარეს აქვს კუნთი დაჭიმული. მას ეს ადგილი ადრეც აწუხებდა. ტრავმა სერიოზული არ არის, თუმცა ლიონთან შეხვედრისთვის შესაძლოა დემბელე ბოლომდე ვერ მოემზადოს. ბარსელონა-ლიონის დაპირისპირება 13 მარტს კამპ ნოუზე გაიმართება. პირველი თამაში საფრანგეთში 0:0 დასრულდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ნიგვზისგან მომზადებული საწებელი; 2. პოლიტიკური პარტია საქართველოში; 3. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 4. საარყე ტიკჭორა; 5. ჰორიზონტალური კუთხეების გასაზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 6. იტალიელი კინორეჟისორი; 8. პრეზიდენტის გადაყენების პროცედურა; 10. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინაში; 11. უმაღლესი სასულიერო წოდება კათოლიკურ ეკლესიაში; 14. მეტროპოლიტენის სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 15. ჰერალდიკაში – მოკლე წარწერა გერბზე; 16. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, ბიზანტიის დედოფალი.

**თარაზულად:** 1. ზღვისპირა კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბულგარეთში; 4. „ვეფხისტყაოსანი“-ს დამფუძნებელი ქართველი მხატვარი; 7. კონკურსის მონაწილეთა შემფასებელთა სპეციალისტთა ჯგუფი; 9. იტალიური საავტომობილო კომპანია; 12. აეროპორტი მილანში; 13. სოკოების, წყალმცენარეების, ხავსების მიკროსკოპული ჩანასახი; 14. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 17. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 18. ნივთიერება, რომელიც ელექტროობას არ ატარებს, იზოლატორი; 19. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსი“-ს წევრი; 20 სახელმწიფო აზიაში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

